ISSN 2233-3606

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

# მოამბე
# XXXII
# MOAMBE

INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

თბილისი 2018 TBILISI

უაკ (UDC) 33 (479.22) (051.2)
ს-323

**„მოამბე" გამოდის 1995 წლიდან**
**„MOAMBE" IS PUBLISHED SINCE 1995**

## სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს **Word**-ში, **AcadNusx**-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერ-ვალი სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხეენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გა-დატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი **JPEG** ფორმატში. სტატიის მინიმ-ალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი **A4** ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა).
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად **AcadNusx**-ში და **Times New Roman**-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერ-ატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს: ჟურნალის ერთი გვერდი 6 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება 5 ლარი. უცხოელი ავტორებისთვის სტატიის სრული გადასახადი 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
**mariizoria@mail.ru;**
ტელეფონები: **231 14 75; 593 239 958**
ვებ-გვერდი: **www.sbma.ge**

Continiues taking articles according to this requests:
1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail).
3. 3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languagues too.

The price of article's publication is one page of Journal 6 Gel (lari). And author will pay tjis price after getting positive respond. Also, the price of Journal is 5 GEL (lari). For foreign authors the full tax of the article is 50 USD equivalent in GEL.

**E-mail: mariizoria@mail.ru;**
Tel: 231 14 75; 593 239 958
www.sbma.ge

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTICATE #1982)

# „მოამბე“
## საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი, №32, 2018 წელი



**თეიმურაზ ბაბუნაშვილი-** *მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.*

## სარედაქციო კოლეგია
## მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, ასათიანი როზეტა, ბაბუნაშვილი გიორგი (აშშ), ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გოგოხია რევაზი, გველესიანი მერაბი, გეჩბაია ბადრი, დანელია თამაზი, ელიავა ლია, იზორია მარინა, კურტანიძე დავითი (აშშ), კუჭუხიძე რომანი, კვალიაშვილი ვაჟა, ლაბარტყავა გულთაზი, ლემონჯავა პარმენი, ლობჟანიძე გივი, ლეკაშვილი ეკა, მალაშხია გიორგი, მექვაბიშვილი ელგუჯა, ნარმანია დავითი, ნადარაია ნუგზარი, პაიჭაძე ნუგზარი, როკეტლიშვილი მიხეილი (აშშ), სარჩიმელია მამუკა, სილაგაძე ავთანდილი (საქ. ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), უგრეხელიძე მინდია, ქარჩავა ლოიდი, ქეშელაშვილი ომარი, ქუთათელაძე რუსუდანი, ყიფიანი გელა, ყუფუნია გურამი, ყორღანაშვილი ლარისა, შენგელია თეიმურაზი, შენგელია რევაზი, ჩიხლაძე ნიკო, ჭითანავა ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხადური ნოდარი, ხელაშვილი იოსები, ჯავახიშვილი რევაზი, მამედოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერქაიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესბერგერი (ყაზახეთის რესპუბლიკა), გალინა ლოპუშნიაკ (უკრაინა), ზალენიენი ინგა (ესტონეთი), ვდოვენკო ნატალია (უკრაინა), მიხაილ ვარჩოლა (სლოვაკეთი), გალინა კუზმენკო (უკრაინა).


შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს

# „MOAMBE“
## QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №32, 2018



**TEIMURAZ BABUNASVILI**- Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doktor of Ekonomic Sciense, President of
Georgian Academy of Business Science,
Honored citizen of Tbilisi

**EDEDITORIAL BOARD**
**Doctors of science, Professors**

ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, ASATIANI ROZETA, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, DANELIA TAMAZI, ELIAVA LIA, IZORIA MARINA, KURTANIDZE DAVITI (USA), KUCHUKHIDZE ROMANI, KUTATELADZE RUSUDANI, KVALIASHVILI VAJA, LABARTKAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MALASHKHIA GIORGI, MEQVABISHVILI ELGUJA, NARMANIA DAVITI, NADARAIA NUGZARI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SARCHIMELIA MAMUKA, SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KUFUNIA GURAMI, KORGANASHVILI LARISA, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHADURI NODARI, KHELASHVILI IOSEBI, JAVAKHISHVILI REVAZI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA).

# შინაარსი

**მილოცვა -** აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ **თეიმურაზ ბაბუნაშვილის** საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოებასთან დაკავშირებით

**1. ლუარა გვაჯაია** ........ 8
ინოვაციური მენეჯმენტი, როგორც მართვის მეცნიერება და ხელოვნება

**2. მაია ჩეჩელაშვილი, ლაშა ჯინჯიხაძე** ........ 11
ბენჩმარკინგი და მისი გამოყენების პერსპექტივები ქართულ საწარმოებში

**3. მარინა ქურდაძე, ანა ჯიქია, ნინო რამიშვილი** ........ 16
ეკონომიკურიპროცესებისმართვისსისტემურიმიდგომადამახასიათებელთა კვლევის ეტაპები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

**4. მამუკა სარჩიმელია** ........ 20
საბაჟო სამართალი და საგადასახადო პოლიტიკის სამართლებრივი ურთიერთობები

**5. გივი მაკალათია** ........ 23
საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა და სახელმწიფოს როლი მის უზრუნველსაყოფად

**6. ციალა ლომაია, ეკა ჯაფარიძე** ........ 27
შრომის ნორმირებისა და კონტროლის კომპონენტების ანალიზი სამედიცინო დაწესებულებების პერსონალის მოტივაციის სისტემაში

**7. ირაკლი მიქაძე** ........ 31
ქალაქ თბილისის ატმოსფეროს დაბინძურების შეფასება

**8. ანა კურტანიძე, სალომე ყიფიანი, ანა ოვჩარენკო** ........ 36
დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების სტრატეგიები

**9. რუსუდან ქუთათელაძე, მარიამ კვირიკაშვილი** ........ 40
ჯანდაცვის ორგანიზაციების ხარისხის მართვის პრობლემისათვის საბაზრო პირობებში

**10. ლელა კოჭლამაზაშვილი, ელენე ჩარკვიანი** ........ 43
სამედიცინო სერვისების ხარისხი

**11. ГУРАМ МАРХУЛИЯ , МАРИНА ИЗОРИЯ** ........ 47
China and India in the Afghan geopolitical space

**12. NINO RUKHAIA-MOSEMGVDLISHVILI** ........ 53
The effectiveness of agrarian cooperation in the issues of economic growth in the country

**13. ბაქარ გვაზავა** ........ 62
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმპლემეტაცია საქართველოში

**14. ოთარ ზალიკაშვილი** ........ 65
პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში, პრობლემატიკა და თავისებურებანი

**15. სოფო ჯვარშეიშვილი** ........ 67
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგიონული თავისებურებანი

**16. ვაჟა დანელია** ........ 73
სპორტის ინდუსტრიის როლი თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში

**17.ა. კურტანიძე, ნინო დარსაველიძე, ლია ყიფიანი** ........ 78
სამრეწველო ბიზნესში პროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებები

**ახალი გამოცემა -** ჩვენიაკადემიისაკადემიკოსის,პროფესორ**ნოდარ გრძელიშვილის** სახელმძღვანელოს „რელიგიური ტურიზმი"-ს რეცენზია ........ 82

**ხსოვნა -** აკადემიის სწავლული მდივნის, პროფესორ **თამაზ დანელიას** გარდაცვალების გამო ........ 83

**მილოცვები -** აკადემიის წევრების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ... 84

# CONTENTS

**CONGRATULATION - the President of the Academy, Professor TeimurazBabunashvili awarded by the President of Georgia**

**1. LUARA GVJAIA ........ 8**

An Innovative Management, as Management of Science and Art

**2. MAIA CHECHELASHVILI, LASHA JINJIKHADZE ........ 11**

Benchmarking and the Prospects of Its Use in Georgian Enterprises

**3. MARINA QURDADZE, ANNA JIKIA, NINO RAMISHVILI ........ 16**

Systemic approach to management of economic processes and the stages of characterization in the market economy

**4. MAMUKA SARCHIMELIA ........ 20**

Customs Law and Legal Relationships of Tax Policy

**5. GIVI MAKALATIA ........ 23**

Macroeconomic Stability of Georgia and the Role of the State for its Ensuring

**6. TSIALA LOMAIA, EKA JAPARIDZE ........ 27**

Analysis of Labor Norms and Control Components in the Medical Staff›s Motivation System

**7. IRAKLI MIKADZE ........ 31**

Assessment of Pollution of Tbilisi Atmosphere

**8. ANA KURTANIDZE, SALOME KIPIANI, ANA OVCHARENKO ........ 36**

Low-cost Airlines Strategies

**9. RUSUDAN KUTATELADZE, MARIAM KVIRIKASHVILI ........ 40**

Quality Management of Healthcare Organizations In the Market Conditions

**10. LELA KOCHLAMAZASHVILI, ELENE CHARKVIANI ........ 43**

The Quality Of Medical Services

**11.GURAM MARKHULIA, MARINA IZORIA ........ 47**

China and India in the Afghan geopolitical space

**12. NINO RUKHAIA-MOSEMGVDLISHVILI ........ 53**

The effectiveness of agrarian cooperation in the issues of economic growth in the country

**13. BAQAR GVAZAVA ........ 62**

Implementation of the European Convention on Human Rights in Ceorgia

**14. OTAR ZALIKASHVILI ........ 65**

Discretionary Powers of the Prosecutor in the Criminal Procedure, Problems and Peculiarities

**15. SOFIKO JHVARSHEISHVILI ........ 67**

Regional Peculiarities of Direct Foreign Investments

**16. VAJA DANELIA ........ 73**

The role of the sports industry in the development of modern economy

**17. ANA KURTANIDZE, NINO DARSAVELIDZE, LIA KIPIANI ........ 78**

Implementation of Project Management in Industrial Business

**NEW EDITION -** Review of the book “Religious Tourism” by the Academician of our Academy, Professor NodarGrdzelishvili ........ 82

**REMEMBRANCE** - due to the death of Professor TamazDanelia, the Academic Secretary of the Academy ........ 83

**CONGRATULATIONS** - the anniversary dates of the Academy members ........ 84

# მილოცვა
## საქართველოს პრეზიდენტის მიერ თეიმურაზ ბაბუნაშვილის დაჯილდოვებასთან დაკავშირებით



საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია უერთდება საერთო მილოცვებს და გულითადად ულოცავს ქართული მეცნიერების ღირსეულ წარმომადგენელს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ღირსების ორდენის ღირსეულ კავალერს, აკადემიის რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალ "მოამბი"-ს მთავარ რედაქტორსა და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს, ძირძველ ქალაქელს, ქალაქ თბილისისა და აბაშის რაიონის საპატიო მოქალაქეს, დიდებული ოჯახის წინამძღოლს, მშობლების უკვდავმყოფსა და ერთგულ დედმამიშვილს, ერთგულ მეგობარსა და უღალატო კოლეგას, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ეკონომისტთა მრავალი თაობის აღმზრდელს, პროფესორ თეიმურაზ ბაბუნაშვილს საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით "სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში განსაკუთრებული დამსახურებისა და მათი საერთაშორისო დონეზე წარმოჩენისათვის" მეორე ღირსების ორდენით დაჯილდოვებას და უსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.გამოვთქვამთ რწმენას, რომ ბატონი თეიმურაზ ბაბუნაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.



# ინოვაციური მენეჯმენტი, როგორც მართვის მეცნიერება და ხელოვნება

**ლუარა გვაჯაია**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი**

ინოვაციები ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახისა და მართვის მეთოდების მქონე სფეროებს, როგორიცაა: მეცნიერება, წარმოება, ინვესტიციები, პროდუქტების რეალიზაცია. ინოვაციური მართვის სტილის და მეთოდებისსრულყოფა, სწრაფი და ადექვატური რეაგირება ბაზრის კონიუქტურის ცვლილებებზე, სიახლის დანერგვის აუცილებლობიდან გამომდინარე ფირმის მუშაობაში ახალი ინსტრუმენტების, ახალი მიმართულებების განვითარება, ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით თანამედროვე ინოვაციური მენეჯმენტის ყველა ძირითადი ელემენტების დახვეწა, რეზერვების მიზანმიმართულად გამოყენება უზრუნველყოფს ინოვაციური საქმიანობის წარმატებას.

ინოვაციური მართვა არის ფირმის საქმიანობის მრავალმხრივი, მუდმივად განახლებადი პროცესი. იგი მოიცავს არა მარტო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დამუშავებებს, არამედგაუმჯობესებისაკენ მიმართულნებისმიერ ცვლილებებს წარმოების საქმიანობის ყველა სფეროში და ასევე ახალიცოდნის პროცესის მართვაშიც.

ინოვაციურიმენეჯმენტი- ეს პროფესიონალური საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც მიმართულია საბაზრო პირობებში მოქმედი ფირმის კონკრეტული ინოვაციური მიზნების მიღწევაზე მენეჯმენტის მექანიზმის ეკონომიკური მეთოდების რაციონალური გამოყენებით. ინოვაციურ მენეჯერს საქმე აქვს პროგნოზებთან, ანგარიშებთან, მოსალოდნელ მაჩვენებლებთან, რომლებიც ინოვაციური საქმიანობის სპეციფიკას ითვალისწინებენ.

ინოვაციური მენეჯმენტი შედარებით ახალი ცნებაა სამეცნიერო საზოგადოების, ეკონომიკისა და ტექნიკის სპეციალისტებისათვის. იგი წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერებისა და პროფესიული საქმიანობის დარგს, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციური მიზნების ფორმირებასა და რეალიზაციას მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენების გზით.

ინოვაციურ მენეჯმენტს გააჩნია საკუთარი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ეყრდნობა საბაზრო პირობებში ფირმის მუშაობის პრინციპებს და ამასთანავე მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეცნიერო მართვის მეთოდოლოგიასთან.

„**ინოვაციური მენეჯმენტი**"-ს ცნების შინაარსს, როგორც წესი, იხილავენ, როგორც ფირმის მართვის ორგანიზებისა და მართვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. ამასთანავე იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სამეცნიერო მართვასთან , რომლის შემუშავების საწყის ეტაპად ითვლება სამუშაოების შინაარსის ანალიზი და მისი ძირითადი კომპონენტების განსაზღვრა. შემდგომშიმეცნიერულად დასაბუთებული იქნა ინოვაციური საქმიანობის პროცესში სტიმულირების სისტემატურად გამოყენების აუცილებლობა შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ზრდის ამაღლებისათვის თანამშრომელთა დაინტერესების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ **ინოვაციური მენეჯმენტი - ეს მართვის მეცნიერება და ხელოვნებაა.** სწორედ ინოვაციური პროცესების სრულყოფილ, სისტემტიზირებულ მართვაზეა დამოკიდებული ფირმის წარმატება.

სამეცნიერო მართვასთან დაკავშირებულიშრომების ავტორებმა(ა. ფაიოლი, პ. დრუკერი, მ. მესკონი, ხ.ვოლფგანგი და სხვა) დაასაბუთეს და ჩამოაყალიბეს შემდეგი სამეცნიერო დებულებები:

- სამეცნიერო ანალიზის გამოყენების აუცილებლობა მიზნის მისაღწევად საუკეთესო მეთოდების განსასაზღვრელად;
- კონკრეტული დავალებების შესასრულებლად შესაფერისი მუშაკების შერჩევის და გამოყენების მიზანშეწონილობა, მათი თანმიმდევრული მომზადება და გადამზადება;
- მუშაკებისთვის ყველა იმ რესურსის მიწოდების აუცილებლობა, რომლებიც საჭიროა ამ ამოცანების ეფექტიანად შესრულებისთვის.

სამეცნიერო მართვის კონცეფციამ მიიღო განვითარება ა.შ.შ-ში მე-20 საუკუნის დასაწყისში. მისი ფუძემდებელია ფ. ტეილორი,

რომლის ნაშრომში - „სამეცნიერო მართვის პრინციპები“- მენეჯმენტი აღიარებულია, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი კვლევის სფერო.

თანამედროვე ეტაპზე მართვის მეცნიერებაში ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი კონცეფციები, რომლებმაც შესამჩნევი წვლილი შეიტანეს მართვის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში. ეს სამეცნიერო მართვის, ადმინისტრაციული მართვის, ფსიქოლოგიის და ადამიანური ურთიერთობების მართვის კონცეფციააა ადამიანების ქცევის შესახებ მეცნიერების თვალსაზრისიდან გამომდინარე.

გამოიკვეთა მართვისადმი ახალი სამეცნიერო მიდგომები, რომლებმაც თანამედროვე პირობებში მიიღეს განვითარება. ეს მიდგომებია: მართვისადმი, როგორც პროცესისადმი მიდგომა, სისტემური მიდგომა და სიტუაციური მიდგომა.

თავდაპირველად ადმინისტრაციული მართვის კონცეფცია მიმართული იყო საერთო პრობლემების და მთლიანად ორგანიზაციის მართვის პრინციპების შემუშავებაზე. მე 20 საუკუნის 20-ან წლებში ჩამოყალიბებული იქნა ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურის ცნება, როგორც გარკვეული იერარქიების მქონე კავშირების სისტემა. ორგანიზაცია იხილებოდა, როგორც დახურული სისტემა, რომლის ფუნქციონირების გაუმჯობესებას ფირმის შიდა რაციონალური საქმიანობა უზრუნველყოფდა გარემოს გავლენის გარეშე.

მართვის კლასიკური სკოლის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა კონცეფცია, რომლის თანახმად ფირმის მართვა სისტემატიზირებული უნდა იყოს იმისათვის, რომ უფრო ეფექტიანად იქნეს მიღწეული ის მიზნები, რომლისთვისაც ეს ფირმა შეიქმნა. ფსიქოლოგიის და ადამიანური ურთიერთობების პოზიციიდან მართვის კონცეფციამ განსაზღვრა მენეჯმენტი, როგორც „სამუშაოების შესრულების უზრუნველყოფა სხვა პირების დახმარებით“. გამოკვლევები, რომელიც ფსიქოლოგ მ. მასლოუმ ჩაატარა, ამტკიცებს, რომ ადამიანების ქმედებების მოტივები ეკონომიკური ძალებიდან კი არ გამომდინარეობს, როგორც ამას სამეცნიერო მართვის კონცეფციის მომხრეები თვლიდნენ, არამედ სხვადასხვა მოთხოვნილებებიდან, რომლებიც არ შეიძლება დაკმაყოფილებული იქნეს ფულადიგამოხატულებით. აღმოჩნდა, რომ ადამიანების შრომის ნაყოფიერება იზრდება მეტწილად არა ხელფასის მომატებით, არამედ საკუთარი შრომის შედეგად მუშაკებისმიერმიღებული კმაყოფილებით და კოლექტივის წევრებს შორის არსებული ურთიერთობებით.

მართვისადმი მიდგომა, როგორც პროცესისადმი, აფასებს მას, როგორც სისტემას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მართვისადმი სისტემურ მიდგომასთან.მასში მიზნების მიღწევაზე მიმართული საქმიანობა იხილება არა როგორც ცალკეული ქმედება, არამედ როგორც ურთიერთდაკავშირებული უწყვეტი საქმიანი აქციების სერია, რომლებიც ახდენენ მართვის ფუნქციის მატერიალიზებას. მათ მიეკუთვნება: დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია, კონტროლი, კომუნიკაციები, კვლევები, შეფასება, გადაწყვეტილებების მიღება, პერსონალის შერჩევა, წარმომადგენლობა, მოლაპარაკებების წარმოება, ხელშეკრულებების დადება.

**სისტემური მიდგომა** გულისხმობს იმას, რომ ხელმძღვანელობა განიხილავს ორგანიზაციას, როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობას- ადამიანები, სტრუქტურა, ტექნოლოგია,რომლებიც ორიენტირებულნი არიან სხვადასხვა დასახული მიზნების მიღწევაზე გარემოს ცვლილებების გათვალისწინებით.

გარდა აღნიშნულისა მართვის პროცესში ადგილი აქვს სიტუაციურ მიდგომებს. **სიტუაციური მიდგომა** გულისხმობს, რომ მართვის სხვადასხვა მეთოდების ეფექტიანობა განსაზღვრულია კონკრეტული სიტუაციით და საუკეთესო მეთოდია ის, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება მის პირობებს. ვლინდება ძირითადი საგარეო და შიგა ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზაციისფუნქციონირებაზე. პრაქტიკული მიზნებისთვის მენეჯერები განიხილავენ მხოლოდ იმ ფაქტორებს, რომლებიც ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ზემოქმედებენ.

ნებისმიერი მდგომარეობა, რომელიც მართვის პროცესში ჩნდება, მენეჯერისგან მოითხოვს ფირმის მიზნების ძირითადი მოთხოვნების განსაზღვრას და ამ მოთხოვნების რეალიზაციის წესებს, ასევე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას, განსაკუთრებით ეს მიზნების შეცვლას და მოქმედების პროგრამებს ეხება. მართვითი ნებისმიერი გადაწყვეტილება არის ბაზართან და გარემოს სხვა ელემენტებთან უკურეაქციის შედეგი. მიღებული ინფორმაციის როლი ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა. ინ-

ფორმაციის ანალიზი და მის საფუძველზე მმართველობითი გადაწყვეტილებებისმიღება ხდება მენეჯმენტის ტექნოლოგიის ჩარჩოებში.

ინოვაციის, როგორც ობიექტის, სპეციფიკა ინოვაციური მენეჯერის მუშაობის განსაკუთრებულ ხასიათს ითვალისწინებს.გარდა ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა (შემოქმედებითი ხასიათი, ანალიტიკური უნარჩვევები), იგი უნდა იყოსპროფესიონალი: იცნობდეს ინოვაციის საწარმოო სფეროს, სიახლეების, ინოვაციების და ინვესტიციების მდგომარეობას; შეეძლოს ინოვაციური საქმიანობის ორგანიზება ახალი სახეობების პროდუქციის შემუშავების და ათვისების პროცესში, მომსახურების გაწევა და სამუშაოების შესრულება; ინოვაციური, საწარმოო და საინვესტიციო საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზი; კარგად ერკვეოდეს შრომითი ურთიერთობების საფუძვლებსა და პერსონალის მოტივაციის საკითხებში; ინოვაციური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმებში და სხვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს გადაწყვეტილების მომზადებასა და მიღებას მთლიანობაში და მისი საჭიროების შექმნის ყოველ ეტაპს. ინოვაციურიმენეჯმენტის საბოლოო მიზანია რესურსების ეფექტიანად გამოყენება და ინოვაციის სუბიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Б. А. Райзберг. Управление экономикой. 2003;
2. В. Г. Медынский. Инновационный менеджмент. 2008;
3. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. 2015;
4. ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე, ქუთათელაძე. ინოვაციების მენეჯმენტი. 2008.


**რეზიუმე**


სტატიაში განხილულია ინოვაციური მენეჯმენტის ცნების არსი, იგი წარმოდგენილია როგორც ეკონომიკური მეცნიერებისა და პროფესიული საქმიანობის დარგი, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციური მიზნების ფორმირებისა და რეალიზაციის პროცესების მართვას ორგანიზაციაში. ვინაიდან ინოვაციური პროცესი იწყება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებით, ინოვაციურ მენეჯმენტს უშუალო კავშირი აქვს სამეცნიერო მართვის მეთოდოლოგიასთან; ინოვაციური პროცესების სრულყოფილ მართვაზეა დამოკიდებული ფირმის წარმატება. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ინოვაციური მენეჯმენტი მართვის მეცნიერება და ხელოვნებაა.


ABSTRACT

An Innovative Management, as Management of Science and Art


Luara Gvajaia

Professor of Faculty of Business Technologies of GTU



The article considers the essence of an innovative management. It is represented as a field of economic science and professional activity, which guarantees formation and implementation of innovative goals in an organization. An innovative process begins from a scientific research and it has direct relationship with methodology of scientific management. Success of a company depends on perfect management of innovative processes. Therefore, we can conclude that the innovative management is science and art of management.

# ბენჩმარკინგი და მისი გამოყენების პერსპექტივები ქართულ საწარმოებში

**მაია ჩეჩელაშვილი**
**ეკონომიკის დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი**
**ლაშა ჯინჯიხაძე**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**საკვანძო სიტყვები:** ბენჩმარკინგი, ცხოვრების ხარისხი, ხარისხის კულტურის ინსტალირება, კოპინგ-სტრატეგიები, ზრდის წერტილები.

**შესავალი.** მსოფლიო გამოცდილება ამტკიცებს, რომ მასობრივი ინტეგრაციის პრობლემების გადაწყვეტა და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციების მუდმივი გამოყენება სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს. ინსტიტუციური სტრუქტურა უნდა ახდენდეს ცხოვრების ხარისხის საყოველთაო ზრდის იდეების გენერირებასა და საზოგადოებრივი გავრცელების წახალისებას კორპორაციული სტრუქტურების მდგრადი განვითარების და ყველა დაინტერესებული პირების მხარდაჭერის მეშვეობით, რომლებიც აქტიურად ნერგავენ ქართულ რეალობაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეპტს. ეს შეიძლება გამოიყურებოდეს შემდეგნაირად: წარმატებული მეთოდი, გამოცდილება ანდა ნოვაცია, რომელსაც გააჩნია სოციალური კაპიტალის გაზრდის პოტენციალი ან ლოკალურ დონეზე დაამტკიცა თავისი გადახდისუნარიანობა, უნდა გახდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი ცოდნა, ვრცელდებოდეს ყველა დაინტერესებულ მხარეებს შორის მისი შემდგომი გამრავლებისა და ადგილებზე სრულყოფისათვის.

ამასთანავე, კომპანიის მონაწილეობის აქტიური ფორმატი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის იდეის გავრცელების მასშტაბურ პროცესში შეიძლება აყვანილ იქნას სტრატეგიულად სასარგებლოს რანგში, და განიხილებოდეს, როგორც ინვესტიცია ხარისხის რეგიონული/ეროვნული კულტურის შექმნაში. ეს, თავის მხრივ, იქნება ინვესტიცია კომპანიის მოგების აკუმულირების მომავალ თვისებაში. ირიბი ეკონომიკური სტიმულებით კომპანიების ასეთი აქტიური პოზიციის მხარდაჭერით შეიძლება მიღწეულ იქნას შთამბეჭდავი შედეგები.

**ძირითადი ნაწილი.** დღეს სახელმწიფო ინსტიტუტებს შეუძლიათ გადადგან განსაზღვრული ნაბიჯები სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტიზაციის პოლიტიკის სრულყოფისათვის, რაც სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მაჩვენებლების მიხედვით გახდებოდა ქართული კომპანიების დონის ზრდის კატალიზატორი, კერძოდ:

- **ცხოვრების ხარისხის ამაღლების პროცესის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება:** ეროვნული სტანდარტების სისტემის მოდერნიზაცია გლობალური ანალოგების მიხედვით, უნივერსალური დარგობრივი სტანდარტების შემუშავების მხრივ სამრეწველო კონსორციუმების და გაერთიანებების (თანაბეგობრობის) ჩამოყალიბება;
- **კოპინგ-სტრატეგიების გამოყენება სხვა ქვეყნების წარმატებული გამოცდილების გადმოღების შემთხვევაში და ტერიტორიული ნიშნის მიხედვით „ხარისხის კულტურის ინსტალირება“:** სხვადასხვა სამრეწველო დარგებისათვის და მონაწილეების ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში საუკეთესო მსოფლიო და ქართული პრაქტიკის მოკლე სახელმძღვანელოები, კომპანიების სტრატეგიების შესრულების ერთობლივი მონიტორინგი და გამოცდილების სისტემატური გაცვლა;
- **ეკონომიკური სუბიექტების ცალკეული ჯგუფის მომზადება, რომლებიც გახდებიან ინოვაციათა, ორგანიზაციულ ცვლილებათა აგენტები:** სტანდარტებისა და ხარისხის დამკვირვებელთა საერთაშორისო კლუბებში ინტეგრირება, ბიზნესის სოციალურად პასუხისმგებელი ქცევის წახალისების სისტემის შემუშავება;
- **ინსტიტუციური ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური და ეკოლოგიური ნორმების აუცილებელ მისაღებ მინიმუმს**. ერთი მხრივ, ისინი უზრუნველყოფენ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ეფექტიანობის ინდიკატორების საშუალო მაჩვენებლების ზრდას, მეორე მხრივ, სოციალური პასუხისმგე-

ბლობის სფეროში კომპანიებს საშუალებას მისცემენ პროექტებისა და პროგრამების შესაძლო დაფინანსების გამოძებნისათვის;

• **საგანმანათლებლო პოლიტიკის მოდერნიზაცია:** საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და იმ კომპანიების კოოპერაციის მხარდაჭერა, რომლებიც იყენებენ წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებს; რეგიონული და მუნიციპალური პროგრამებისა და კონკურსების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც წაახალისებენ წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას; ღონისძიებების აქტიური საინფორმაციო მხრდაჭერა, რომელიც ორიენტირებულია შიგა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების სფეროში გამოცდილების გაცვლაზე.

სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანა მდგომარეობს კომპანიების „ტექნოლოგიური პლატოს" და საქმიანობის სოციალური და ეკოლოგიური კონტექსტის შერწყმაში. თანამედროვე კომპანიებსა და სახელმწიფოს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განხორციელებას ორი ძირითადი სტრატეგია გააჩნია, რომლებსაც მიყავთ ეკონომიკის რეალური სექტორი კონკურენტუნარიანობის ზრდამდე და მსოფლიო მნიშვნელობის მდგრად განვითარებამდე: 1) მასშტაბის ეფექტის მიღწევა ოპტიმიზაციური და კონსოლიდირებული პოლიტიკის ხარჯზე ცალკეული კომპანიის საწარმოო, მმართველობით და ორგანიზაციულ სფეროში; 2) კომპანიის ინოვაციური და სტრატეგიული უპირატესობა, რომელიც „ამსხვრევს" ტრადიციულ სტერეოტიპებს. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია შესაძლებელია წარმატებულად იყოს განხორციელებული ორივე მიმართულებით.

ერთერთ ეფექტურ ინსტრუმენტს, რომელიც მიმართულია ეკონომიკის ნებისმიერი სფეროდან ან დარგიდან საუკეთესო გამოცდილების მოძიებაზე, იდენტიფიკაციაზე და პრაქტიკაში დანერგვაზე, წარმოადგენს **ბენჩმარკინგი.** ზოგადად ეს მიდგომა ასახავს იმას, რასაც გააჩნია განსაზღვრული რაოდენობა, ხარისხი და თვისება, იქნას გამოყენებული, როგორც სტანდარტი ან ეტალონი სხვა ანალოგებთან შედარების დროს. ბენჩმარკინგი წარმოადგენს სისტემატურ საქმიანობას, რომელიც მიმართულია საუკეთესო მაგალითების მოძიებაზე, შეფასებაზე და შესწავლაზე მათი ოდენობის, ბიზნესის სფეროს ანდა გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად.

საქართველოში პირველად ბენჩმარკინგის ცნება გამოჩნდა დაახლოებით 10 წლის წინ, როდესაც მასშტაბური სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი გაკოტრდა და შეწყვიტა თავისი არსებობა, ხოლო მეორე ნაწილმა მოახერხა გარდაქმნის პერიოდში გადარჩენა, შეეჯახა შესაქმნელი პროდუქციის ხარისხის მუდმივი ამაღლების და მმართველობითი ტექნოლოგიების სრულყოფის აუცილებლობას.

მიგვაჩნია, რომ ქართულ კომპანიებში სასარგებლოა ბენჩმარკინგის კონცეფციის გამოყენება რამდენიმე სიტუაციაში:

1) **სტრატეგიული მდგრადი ზრდის წერტილების მოძიება.** ნებისმიერმა ორგანიზაციამ იცის, საით და რისკენ უნდა მიისწრაფოდეს. თვითკმარი კომპანიები სტრატეგიულ პერსპექტივაში შეიძლება აუტსაიდერების სიის სათავეში მოხვდნენ. ეს განსაკუთრებით ეხება ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას, ვინაიდან თუ კომპანია არ ფიქრობს საკუთარ თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე, მომიჯნავე ტერიტორიების მაცხოვრებლებზე, შეუძლებელია ნდობის მაღალი რეიტინგის მიღწევა და სტრატეგიული მიზნების განხორციელება.

2) **სხვადასხვა სფეროში მოწინავე გამოცდილების კომპანიაში დანერგვა.** ბენჩმარკინგი ლოჯისტიკაში, მარკეტინგში, პერსონალის მართვაში, ფინანსურ მენეჯმენტში ფართოდ გამოიყენება, ე.ი. საწარმოსთან მიმართებაში მოიცავს ყველა სფეროს და მიმართულებას. მაგალითად, ბენჩმარკინგი ლოჯისტიკაში სწრაფად და მცირე დანახარჯებით ავლენს პრობლემურ სიტუაციებს ლოგისტიკურ სისტემებში, მომხმარებელთან ახლოს მყოფ სფეროებში. თავისი არსით ეს არის ასევე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის განხორციელება, ვინაიდან საჭირო საქონლით უზრუნველყოფს მომხმარებელს მინიმალური ტრანზაქციური დანახარჯებით მინიმალურ ვადაში;

3) **ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების გამოცდილების და გლობალური კონკურენციის წესების ინტეგრირება.** ხარისხის საერთაშორისო სისტემებზე და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობაზე გადასვლა მომენტალურად არ ხდება. საჭიროა მნიშვნელოვანი დრო, რათა მოხდეს გლობალურ კომუნიკაციების სისტემაში ინტეგ-

რირება, კონსულტანტების მოზიდვა ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტების და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის აგების თავისებურებების გამოსავლენად. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი IშI სტანდარტების შესაბამისი მენეჯმენტისა და სტანდარტიზაციის სისტემაზე გადასვლა. ასეთ სიტუაციაში იმის ცოდნა, თუ როგორ ხდება კონკურენტთან პროცესის კონტროლი, შეიძლება გახდეს გადამრჩენი ელემენტი თავიდანვე სწორი კურსის აღებაში, რომელიც გამოიხატება საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ზრდით;

4) **კომპანიის ზრდის პოტენციური ან მომავალი წერტილების ჩამოყალიბება.** შეიძლება მოცემულ მომენტში კომპანია არ ახორციელებდეს ბაზარზე ზეგავლენის სფეროების გაფართოების აქტიურ ქმედებებს, მაგრამ მომავალში მას აუცილებლად დაჭირდება ახალი საქონელი, ტექნოლოგიები და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ახალი ხერხები, რაც კომპანიამ დღესვე უნდა გაითვალისწინოს. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია აყალიბებს ძლიერ პლატფორმას ზრდის წერტილების პოტენციალის გამოსაყენებლად;

5) **მუდმივი მონიტორინგი.** ქართული და უცხოური კომპანების მოწინავე გამოცდილების შესახებ ინფორმაციის რეგულარული მონიტორინგი ახდენს ადაპტირებას ახალი პირობებისადმი და ბიზნესის განვითარების ტრენდებისადმი. გლობალური კონკურენცია, მუშაობა ტრანსნაციონალურ კომპანიებთან, მიწოდების გლობალურ ჯაჭვში ან ღირებულების შექმნაში მონაწილეობა - ყველაფერი ეს მოითხოვს აქტუალურ ეკონომიკურ ინსტრუმენტების ნაკრებს და ძლიერ სოციალურ კაპიტალს არამატერიალური აქტივების სახით, რომელთა კონვერტირება შესაძლებელია მსოფლიოო მასშტაბით მიღებულ ეკონომიკური მოგებაში.

ბენჩმარკინგული რეზერვი იდენტიფიცირდება ორ სიბრტყეში: თეორიულსა და პაქტიკულში. ბენჩმარკინგის თეორია გულისხმობს, რომ სამრეწველო საწარმოს მისია და ხედვა უნდა იქნას მიმართული კონკურენტის შესაბამისი და მოზიდული მახასიათებლების ნაკრებზე. ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მონაცემთა ასეთი მასივი შეიძლება მიღებულ იქნას ან ნებაყოფლობით (ურთიერთსასარგებლო მოლაპარაკებების გზით) ან კონკურენტული დაზვერვის მეთოდებით. მაშასადამე, საჭირო ხარისხის საბაზო დონის მოძებნით, კომპანიის კომპეტენტური გუნდი, რომელიც მუშაობს მდგრადი განვითარების მისაღწევად, სიზუსტისა და რელევანტურობის ხარჯზე აპროექტებს თავის მაღალკონკურენტუნარიან საინოვაციო წინადადების ხარისხის ახალ დონეს.

ბენჩმარკინგის სხვა მეთოდებთან ერთად გამოყენება იწვევს ბიზნეს-პროცესების ეფექტიანობის მნიშვნელოვან ამაღლებას. არსებითად, ბენჩმარკინგი - ეს არის შედარების ერთ-ერთი მეთოდი, საკუთარი კომპანიის მუშაობის პრინციპების ყველაზე წარმატებულ პრაქტიკებთან რეინჟინერინგისა და შედარების ინსტრუმენტი, რათა ცვლილებების განსაზღვრის გზით, უზრუნველყოფილ იქნას მაღალი შედეგი. განვითარებულ ქვეყნებში ბენჩმარკინგი წარმოადგენს მართვის საყოველთაოდ აღიარებულ მეთოდს, რომელიც წარმატებულად იყენებს თავის პრაქტიკაში ეკონომიკის სხვადასხვა დარგების წარმომადგენელი კომპანიების 80%.

ბენჩმარკინგის ფართო გამოყენებას ამჟამად უზრუნველყოფს შემდეგი ფაქტორები:

1. ინსტიტუტების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მის ეფექტიან გამოყენებას, გავრცელებასა და გაცვლას,
2. საინფორმაციო ტექნოლოგიები მონაცემთა შეუფერხებელი გავრცელებისათვის ბენჩმარკინგის ციკლების შემცირების მიზნით,
3. კოლექტიური გამოყენების სპეციალური უსაფრთხო გარე ქსელები - ელექტრონული ფოსტა, პროცესების გრაფიკული ასახვის საშუალებები, მოდელირება, მაღალსიჩქარიანი საძიებო სისტემები.

ბენჩმარკინგი წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების სრულყოფის საიმედო მეთოდს. ორგანიზაციის მართვის სისტემაში და კორპორაციულ კულტურაში ინტეგრირებული, იგი საქმიანობის სისტემატური სრულყოფისათვის იძლევა მსოფლიოო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მიზნების დასახვის და ბიზნეს სტრატეგიების საუკეთესო მმართველობითი გადაწყვეტილებების გამოვლენის საშუალებას. ხოლო ქართული ორგანიზაციებისათვის მსოფლიოო წამყვანი და ადგილობრივი მიღწევების გამოყენება წარმოადგენს არსებით აუცილებლობას.

**დასკვნა**. სამრეწველო ბაზარზე ბენჩმარკინგი განავითარებს არა მარტო ცალკეულ წარმოებებს, რომლებიც კონცენ-

ტრირებულია ერთი და იგივე მოთამაშეების ხელში, არამედ აყალიბებს ინოვაციური განვითარების კლასტერებს, ამით იგი აიყვანს ქვეყნის მთელ დარგს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. მაგალითად, აშშ-ში ბენჩმარკინგის კონცეფციამ მიიღო ინსტიტუციური მხარდაჭერა. იქ არსებობს ინსტიტუტების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ბენჩმარკინგის სფეროში იდეების ეფექტიან გამოყენებას, გავრცელებას და გაცვლას. ბენჩმარკინგის ციკლების შემცირების მიზნით მონაცემთა შეუფერხებელი გავრცელებისათვის ყალიბდება საინფორმაციო ტექნოლოგიები. არსებობს კოლექტიური გამოყენების სპეციალური უსაფრთხო გარე ქსელები - ელექტრონული პოსტა, პროცესების გრაფიკული ასახვის საშუალებები, მოდელირება, მაღალსიჩქარიანი საძიებო სისტემები. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ყველა დარგის განვითარებას, მათ შორის მომიჯნავე მიმართულებებით.

ამჟამად საქართველოში ჩამოყალიბდა კომპანიების მთლიანი ჯგუფი, რომელიც ნერგავს ქართული რეალიებისათვის ბიზნესის ახალ ფილოსოფიას - ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობის საფუძველზე საზოგადოების წინაშე. ამასთანავე, ზოგიერთი კომპანიისათვის შედეგებმა არ დააყოვნა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Corporate Social Responsibility / Ed. J. Allouche. – V. 1: Concepts, Accountability and Reporting. – N.Y.: Palgrave Macmillan, 2006. P. 333– 355. Sustainability Reporting in Emerging Markets: An analysis of the sustainability reporting in selected sectors of seven emerging market countries. SIRAN, KLD, Social Investmnet Forum, 2008;
2. Matten D., Crane A. Corporate Citizenship: Toward an Extended Theoretical Conceptualization // Academy of Management Review. – 2005. – 30(1): pp.166-179.
3. Mulej M., Zizek S., Hrast A., Zenko Z., Potocan V. ISO 26000 on social responsibility against neoliberal economics // Russia's integration into the world economy: the new paradigms of the economic culture: Proceedings of the V International Scientific Conference. Yekaterinburg: UrFU, 2011. P. 146–175.
4. Moon J., Crane A., Matten D. Can Corporations be Citizens? Corporate Citizenship as a Metaphor for Business Participation in Society // Business Ethics Quarterly. – 2005. – 15(3): pp. 427-451
5. Дайриарх Я., Маркетинговые технологии и бенчмаркинговые резервы повышения эффективности управления качеством на выходе и в процессе создания добавленной ценности продукта//материалы II Международной научно-практической конференции «Модернизация экономики и управления». - Ставрополь, 2014. Часть 1. С. 294-296


## რეზიუმე


სტატიაში განხილულია ბენჩმარკინგის, როგორც ბიზნესის სოცილაური პასუხისმგებლობის რეალიზაციის ერთერთი ეფექტური ინსტრუმენტის, ქართულ საწარმოებში და ორგანიზაციებში გამოყენების პერსპექტივები. ავტორების აზრით, ბენჩმარკინგი წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების სრულყოფის საიმედო მეთოდს. ორგანიზაციის მართვის სისტემაში და კორპორაციულ კულტურაში ინტეგრირებული, იგი საქმიანობის სისტემატური სრულყოფისათვის იძლევა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მიზნების დასახვის და ბიზნეს სტრატეგიების საუკეთესო მმართველობითი გადაწყვეტილებების გამოვლენის საშუალებას. ხოლო ქართული ორგანიზაციებისათვის მსოფლიო წამყვანი და ადგილობრივი მიღწევების გამოყენება წარმოადგენს არსებით აუცილებლობას.

## SUMMARY

BENCHMARKING AND THE PROSPECTS OF ITS USE IN GEORGIAN ENTERPRISES

**Maia Chechelashvili**
**Doctor of Economics,**
**Associate Professor of Georgian Technical University**
**Lasha Jinjikhadze**
**The Doctoral Student of Georgian Technical University**

The article discusses benchmarking as one of the effective instruments of social responsibility for business, prospects for use in Georgian enterprises and organizations. According to the authors, benchmarking is a reliable method of improvement of business processes. Integrated into the organization's management system and corporate culture, it provides a systematic improvement of the activity to identify the goals of the global market and identify the best management decisions of business strategies. The use of world leading and local achievements for Georgian organizations is essential.

Keywords: benchmarking, quality of life, quality culture, coping strategies, growth points.

# ეკონომიკური პროცესების მართვის სისტემური მიდგომა და მახასიათებელთა კვლევის ეტაპები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

**მარინა ქურდაძე**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**პროფესორი, ტ.მ.დ.**
**ნინო რამიშვილი**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**
**ანა ჯიქია**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**დოქტორანტი**

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გაუხსნა გზა და აუცილებელი გახდა მომხდარიყო საინვესტიციო რესურსების მობილიზება, წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფა, რაც მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ფეხდაფეხ განხორციელდებოდა, ეს თავისთავად კი გახდებოდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების წინა პირობა და ქვეყანა თავის ადგილს დაიმკვიდრებდა მსოფლიო ბაზარზე.

ცნობილია, რომ ბაზარი გულისხმობს მწარმოებლის და მომხმარებლის თავისუფლებას. მათ შორის პირდაპირ კავშირს და ჩარევის გარეშე თავისთავად ფასწარმოქმნას. ბაზარმა, რომლის ფუნქციონირებას საფუძვლად მწარმოებლის მესაკუთრედ გადაქცევა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილება დაედო, დიდი ისტორიული გზა განვლო ანუ საქონლის უშუალოდ გაცვლის ფორმიდან, ფულის მეშვეობით საქონელგაცვლის თანამედროვე ურთულეს პროცესამდე.

ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც დაფუძნებულია საბაზრო ურთიერთობაში, პრობლემა „რა", „როგორ" და „ვისთვის" წყდება ფასეულობის მოთხოვნის და მიწოდების, მოგების და ხარჯების სისტემების საშუალებით, ამ შემთხვევაში მწარმოებელი კომპანიები (ფირმები) ქმნიან საქონელს, რომელთაც მოაქვთ მეტი მოგება – („რა"), იყენებენ წარმოების საშუალებებს, რომლებიც საჭიროებენ ნაკლებ დანახარჯებს („როგორ"). წარმოებული საქონლის გაყიდვა და მათი მოხმარება განისაზღრება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების შემოსავლებით. ეკონომიკის ასეთი ტიპი წარმოადგენს საბაზროს.

ზოგადად საბაზრო ეკონომიკის ქვეშ გაიგივებულია ორგანიზების ისეთი ფორმა, რომლის დროსაც საქონლის მწარმოებლების და მომხმარებლების, მყიდველების და გამყიდველების ურთიერთმოქმედება, ანუ ეკონომიკის სამი ძირითადი პრობლემის „რა", „როგორ" და „ვისთვის" გადაწყვეტა, მიმდინარეობს უშუალოდ ბაზრის და საბაზრო მექანიზმის დახმარებით.

ახალი შესაძლებლობების გამოვლენა ხდება სისტემატურად ან ხანგამოშვებით. ამისთვის აუცილებელი მოთხოვნაა ახალი შესაძლებლობების, ახალი იდეების მოძიება. წარმატების საიდუმლოების ნახევარს წარმოადგენს საქმიანობის მიმზიდველ სფეროში შეღწევა და არა იმის ცდა მივაღწიოთ ეფექტს არამიმზიდველი დარგების ფარგლებში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია ის, რომ ფირმას შეუძლია იყიდოს ყველა მისთვის აუცილებელი რესურსი შესაბამის ბაზარზე. ასე მაგალითად: შრომის ბაზარი, რომელიც მიეკუთვნება წარმოების ფაქტორების ბაზარს, ფირმებს სთავაზობს სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტების შრომით მომსახურებას – მაღალი დონის მენეჯერებიდან დაწყებული დამლაგებლებით დამთავრებული. შრომის ბაზარზე ფირმა ყიდულობს სხვადასხვა სახის შრომით მომსახურებას, რაც აუცილებელია წარმოების ეფექტიანად წარმართვისთვის. ანალოგიურად ხდება კაპიტალის ბაზარზეც, ფირმა ყიდულობს მისთვის საჭირო მანქანა-დანადგარებს, და ა.შ.

ნებისმიერი რთული ობიექტი ან პროცესი კვლევის დროს ეფუძნება მათ მთლიანობაში ხედვას. სისტემური მიდგომა წარმოადგენს ისეთი მეთოდების და საშუალებების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ობიექტის, მოვლენის ან პროცესის, როგორც სისტემის თვისებები, სტრუქტურა და ფუნქციები. თანაც გათვალისწინებული უნდა იყოს სისტემაში ყველა კატეგორიათაშორისი კავშირი, ასევე ქვესისტემაზე და გარემოზე ურთიერთგავლენა.

ეს კი ეკონომიკური თვალსაზრისით არის ის პარამეტრები და კატეგორიები, რომელიც ჩართულნი არიან ეკონომიკის მართვის პროცესში

ტრადიციული მიდგომებისგან განსხვავებით, სადაც აზრი მიემართება მარტივიდან რთულისკენ, სისტემური მიდგომის დროს პირიქით აზრი მოძრაობს მთლიანიდან შემადგენელი ნაწილებისკენ, სისტემიდან კატეგორიებისკენ, რთულიდან მარტივისკენ. (სქემა 1)

სისტემური მიდგომის დროს აქცენტი კეთდება ეკონომიკური, პროცესების მთლიანი, ინტეგრაციული თვისებების ანალიზზე, მისი სტრუქტურის და ფუნქციების გამოვლენაზე. არსებითი მნიშვნელობა აქვს მასში მიმდინარე მართვის პროცესებს, რომლებიც მოითხოვენ პროცესების გამოკვლევას მასში მიმდინარე ცირკულირებული ინფორმაციის, ქმედებების და მიზნის არჩევის თვალთახედვით.




სქემა 1. ა) სისტემების შესწავლის ტრადიციული და ბ) სისტემური მიდგომები.

ეკონომიკური სისტემის ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური კატეგორიების ერთობლიობა რომლებიც ურთიერთობაში და კავშირებში იმყოფებიან ერთმანეთთან და ქმნიან გარკვეულ ერთიან, მთლიან „ორგანიზმს“.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ეკონომიკური სისტემის თვისებები არ წარმოადგენს შემადგენელი ეკონომიკური კატეგორიების ჯამს. ეკონომიკური სისტემა ყალიბდება მისი შემადგენელი კატეგორიების ურთიერთქმედების შედეგად, თანაც ეს ურთიერთქმედება ეკონომიკურ კატეგორიებს აძლევს ახალ თვისებებს, რომელიც არ გააჩნია ცალკე აღებულ მსაზღვრელებს, ამიტომ სისტემის თვისებების რაოდენობა (N)მეტია, ვიდრე ცალკეულად აღებული პარამეტრების თვისებების (n) ჯამი, თანაც სისტემაში წარმოიქმნება (dN)ჯამი, თანაც სისტემაში წარმოიქმნებაგანსაკუთრებული სისტემური თვისებები, ანუ

$$N - \sum \dot{n} = \Delta N > 0$$

როგორც წესი, ეკ-ურ სისტემაში პარამეტრების გაერთიანება მიმდინარეობს შეთანხმებული ურთიერთქმედებების ფორმირების შედეგად (ძალისხმევის შეჯერება), რაღაც ახალში, რომელიც ფლობს ინტეგრაციულ თვისებებს და რომელიც გაერთიანებამდე ამ პარამეტრებს არ ქონდათ.

საბაზრო ეკონომიკას თუ განვიხილავთ ერთიანი ეკ-ური სისტემის სტრუქტურას მაშინ იგი არის სისტემის შედარებით კონსერვატიული მახასიათებელი: ის შეიძლება შენარჩუნდეს უცვლელად საკმაოდ დიდ ხანს, ხოლო სისტემის მდგომარეობა ამ დროს შეიძლება არსებითად შეიცვალოს. თუ სისტემის ფუნქცია და სტრუქტურა პრაქტიკულად არ იცვლება მისი არსებობის გარკვეული დროის პერიოდში, მაშინ ეკონომიკას ქვია სტაბილური.

სხვადასხვა ეკონომიკური კატეგორიები ძირითადად სტრუქტურით განსხვავდებიან. სტრუქტურა განსაზღვრავს ნებისმიერი ბუნების ეკ-ური მსაზღვრელის თვისებებს. კერძოდ თუ ეკ-ური კატეგორიის რომელიმე პარამეტრი იწყებს განვითარებას დამოუკიდებლად, მაშინ ის შეიძლება გახდეს ავტონომიური ქვესისტემა (იგივე სისტემა) და შეცვალოს მთლიანი იერარქიული სტრუქტურა.

ეკონომიკში კატეგორიების ფუნქციონირების შიგნით და ფუნქციათა შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კავშირები, რომლებიც ერთიანობაში მათ ერთმანეთთან აკავშირებენ. იგულისხმება, რომ კავშირები არსებობს ყველა ეკონომიკურ კომპონენტს შორის, ქვესისტემებს და სისტემებს შორის. კერძოდ, ეკონომიკური მსაზღვრელები ითვლებიან ერთმანეთთან დაკავშირებულად, თუ ერთ პარამეტრში მიმდინარე ცვლილებებით, შესაძლებელია განვსაჯოთ სხვა პარამეტრებში მიმდინარე ცვლილებები.

ასე რომ ამ მიდგომის არსი მდგომარეობს ეკონომიკაში სხვადასხვა ასპექტის კომპლექსურ, ურთიერთდაკავშირებულ, მთლიანობად განხილვაში. ამ დროს ყველა კერძო, ლოკალური მიზანი ექვემდებარება საერთო საბოლოო მიზანს. სისტემური წარმოდგენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს, რთული პროდუქციის წარმოების და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური პრობლემების მთელი სპექტრი, ერთმანეთთან კავშირში მყოფი საწარმოებით, საამქროებით, ფუნქციონალური რგოლებით, შემსრულებელთა უზარმაზარი მასით და ა.შ.

მეცნიერების ბევრ დარგში მათ შორის ეკონომიკაში, მართვის თეორიაში და ა.შ სისტემურ მიდგომამ საკმაოდ დაიმკვიდრა ადგილი, რთული ობიექტების გამოკვლევების დროს. მეცნიერებს უყალიბდებათ სისტემური აზროვნება, ანუ ჩვევა იაზროვნონ ისე, რომ ხედავდნენ მთლიან სურათს, თანაც ემყარებოდნენ სხვადასხვა თეორიულ მეთოდს და რთული ობიექტების ინტუიციურ ხედვას მთლიანობაში. როცა კვლევის ახალი ობიექტებისთვის და სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანებისთვის არსებული მოდელები არ კმარა, მაშინ სისტემური აზროვნება საშუალებას იძლევა შექმნას ახალი მოდელები. სისტემური აზროვნება ხანდახან გაიგება, როგორც კვლევის მეთოდებისა და ხერხების, სისტემის აღწერის და კონსტრუირების ერთობლიობა. სისტემურ აზროვნებას ხშირად ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობები და პარადოქსულობა. იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ რომელიმე ობიექტი, მოვლენა ან პროცესი როგორც სისტემა, აუცილებელია მოვახერხოთ მისი როგორც მთლიანობაში განსაზღვრა და ანალიზი.

სისტემური აზროვნების ანუ სისტემური გამოკვლევების პარადოქსი მდგომარეობს: ა) ერთ მთლიან წარმოდგენის პარადოქსში, ბ) იერარქიულობის პარადოქსში. სისტემის მთლიანობის პრობლემებზე ალსანიშნავია [2,3]-ში მიღებული შედეგები, სადაც განხილული არის სისტემის თვისებების სხვადასხვა სახეები. ერთ-ერთი შემდეგნაირად შეიძლება გავაჟღეროთ: სისტემის მთლიანობის თვისება ნიშნავს, რომ თვისება ეკუთვნის განსახილველ მთლიან სისტემას და არ ეკუთვნის მის შემადგენელ კომპონენტებს.

იერარქიულობის პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ სისტემაში აღწერის და კვლევის ყოველი ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, როცა სისტემა განიხილება როგორც უფრო დიდი სისტემის (ზესისტემის) ქვესისტემა. სისტემური მიდგომის შემდგომი განვითარება სხვადასხვა მიმართულებით და მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით გადის: 1) აზრობრივი კონსტრუქციების დაგროვებაზე, განზოგადებასა და სისტემატიზაციაზე, რათა მოხდეს რთული სიტუაციების გააზრება და სტრუქტურიზაცია ზოგად სისტემური ცნებების საფუძველზე.

2) ასეთი საშუალებების გამოყენების მეთოდების განვითარებაზე.

დიდი ზომის კვლევის დროს სისტემური მიდგომა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. კვლევის ობიექტის გამოყოფა მოვლენების და პროცესების საერთო მასიდან, სისტემის საზღვრების, მისი ძირითადი ნაწილების, გარემოსთან კავშირების კონტურის მოხაზვა., კვლევის მიზნების დადგენა, სისტემის სტრუქტურის და ფუნქციების დადგენა და ა.შ. სისტემის და შემადგენელი პარამეტრების ძირითადი და მნიშვნელოვანი თვისებების გამოვლენა, მათში თანადობების დადგენა. არ არის აუცილებელი სისტემა იყოს მატერიალური ობიექტი. ის შეიძლება იყოს მაგალითად ალგორითმი, პროგრამა ან წარმოსახვითი მოდელი.

2. სისტემის მიზანმიმართული ქმედებების ძირითადი კრიტერიუმების, ასევე ძირითადი შეზღუდვების და არსებობის პირობების განსაზღვრა.

3. სტრუქტურის და შემადგენელი კომპონენტის ვარიანტების განსაზღვრა, სისტემაზე მოქმედი მთავარი ფაქტორების აღრიცხვა.

4. სისტემის მოდელის შედგენა.

5. მიზნის მისაღწევად სისტემის საქმიანობის ოპტიმიზაცია.

6. სისტემის მართვის ოპტიმალური სქემის განსაზღვრა.

7. ფუნქციონირების შედეგების მიხედვით მყარი უკუკავშირების დადგენა, სისტემის ფუნქციონირების შრომისუნარიანობის და იმედიანობის განსაზღვრა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. 1. Дж.Ван. Гиг. Прикладная общая теория Систем, В 2-х книгах, Перевод с англ., М,; мир 2017
2. 2. Прангишвили И.В. Системные закономерности функционирования сложных систем различной природы и проблемы управления ими; Приборы и системы управления, 2015, №10
3. 3. Бурков В.Н., Кондратъев В. В. Механизмы функционирования организационных систем. М.: Наука, 2016

## რეზიუმე

ეკონომიკური ორგანიზაციული სისტემის მართვის სტუქტურების და ფუნქციონირების მექანიზმების თანმიმდევრული ფორმირების პროცესი მოითხოვს სიახლეთა კვლევის, დამუშავების, დანერგვის და მათი რეალიზების ერთიანი, სისტემური მეთოდების გამოყენებას. ფუნქციონირების მექანიზმში არსებული ან მოსალოდნელი დაბრკოლებები, განპირობებულია ეკონომიკურ სისტემაზე მოქმედი მრავალი შიდა თუ გარე ფაქტორით, დიდი მოცულობის საჭირო ინფორმაციის მოძიების და დამუშავების სიძნელით. ამიტომ საჭიროა კვლევის ერთიანი სისტემის გამოყენება, ანუ უნდა არსებობდეს ხედვის ერთიანი არე, რომელიშიც მოექცევა პრობლემის მთელი სპექტრი და არა მისი გარკვეული ნაწილები. აქედან გამომდინარე შრომაში განხილულია საწარმოო პროცესებსა და ფუნქციონირებაში, კრიზისული სიტუაციის დადგომის, გამომწვევი ფაქტორების და შემდგომი მართვის სისტემური კვლევის და ანალიზის ამოცანები, გადაჭრის გზები და რისკფაქტორები.

## SUMMARY

„SYSTEMIC APPROACH TO MANAGEMENT OF ECONOMIC PROCESSES AND THE STAGES OF CHARACTERIZATION IN THE MARKET ECONOMY."

The consistent formation process of mechanisms for organizational system management and operating systems requires the use of unified, systematic methods of researching, processing, implementing and realizing them. Existing or expected obstacles in the functioning mechanism, due to the many internal or external factors operating on the economic system, with the difficulty of finding and processing large quantities of information. Therefore, it is necessary to use the uniform system of research, ie there should be a single area of vision, which will cover the entire spectrum of the problem and not some of its parts. Hence, the work deals with the processes and functionality of the processes, the crisis situation, the causal factors and the subsequent management systematic analysis and analysis tasks, solutions and risks.

# საბაჟო სამართალი და საგადასახადო პოლიტიკის სამართლებრივი ურთიერთობები

მამუკა სარჩიმელია
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

***საკვანძო სიტყვები:*** *სამართალი, საბაჟო, კონსტიტუცია, ადმინისტრაცია, რეგულირება, გადამხდელი, საზოგადოებრივი ურთიერთობები, საგადასახადო პოლიტიკა.*

საქართველო როგორც ისტორიულად ევროპა-აზიის დამაკავშირებელი მაგისტრალის ძირითადი მოთამაშე ბოლო პერიოდის განმავლობაში უფრო აქტიურად ჩაერთო აბრეშუმის გზის იმ პროექტების განხორციელებაში რომელიც ევროპიდან აზიაში ან პირიქით სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურებას უწყობს ხელს რომელიც უნდა აისახოს როგორც მცირე და საშუალო ასევე განსაკუთრებით მსხვილი ბიზნესის განხორციელებაში. ყოველივე ამის ნათელი დადასტურებაა ჩინეთში გაყვანილი სარკინიგზო მაგისტრალი რომელიც უდიდეს როლს შეასრულებს ორ კონტინენტს შორის სავაჭრო თანამშრომლობის მიზნით. ამ პროცესში როგორც ზევით აღვნიშნეთ საქართველოს ექნება თავისი როლი რომელიც ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზიდან გამომდინარე მოახდენს შემოსული ტვირთების განბაჟებას საბაჟო სამართლისა და საგადასახადო პოლიტიკის სამართლე¬ბრივი რეგულირების მიხედვით რაც დაფუძნებული იქნება ქვეყნის უზენაესი კანონის საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე.

როგორც ცნობილია კონსტიტუციური სამართალი ყველა სხვა დანარჩენი სამართლის დარგების ხასიათის განმსაზღვრელი და დასაყრდენია. ასეთივე როლს თამაშობს ის საბაჟო სამართლის მიმართაც. კონსტიტუციური სამართლის ზოგიერთი ნორმა, იმავდროულად საბაჟო სამართლის ნორმაცაა.

საბაჟო სამართალი უნდა განვითარდეს კონსტიტუციური სამართლის ნორმების, წესების და დებულებების შესაბამისად. კონსტიტუციური დებულებები წარმოადგენენ საგადასახადო კოდექსის განახლების სამართლებრივ სტიმულატორად, მასში დამატებების და ცვლილებების შეტანის საფუძველს.

საბაჟო სამართალი, ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლის სხვა დარგებთან. მიუხედავად იმისა, რომ საბაჟო სამართლის ნორმების გარკვეული რაოდენობა გამოიყენება სხვა დარგობრივ მეცნიერებებში, თვით საბაჟო სამართალი ფართოდ გამოიყენებს ამ ნორმებს, საბაჟო ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების დროს.

საქმის ასეთი მდგომარეობა, საბაჟო სამართალს აერთიანებს, მაგრამ არ აიგივებს ადმინისტრაციულ, ფინანსურ და საგადასახადო სამართალთან. ისინი სამეცნიერო მეცნიერების და კვლევის სხვადასხვა სფეროებია. მაგალითად, როგორც ცნობილია, ადმინისტრაციული სამართალი სწავლობს იმ ადმინისტრაციული ნორმების ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროს და იგი, ეხება საზოგადოებრივი ურთიერთობების საბაჟო-სამართლებრივი რეგულირების მხოლოდ ცალკეულ პრობლემებს. კერძოდ, საბაჟო ორგანოების მუშაკთა ადმინისტრაციულ სტატუსს, მათ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და სხვა. საფინანსო სამართალი იკვლევს იმ იურიდიული ნორმების კომპლექსს, რომლებიც წარმოიშობა სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობის პროცესში. ამ უკანასკნელის ამოცანების უწყვეტი განხორციელების უზრუნველსაყოფად, განვითარების ყოველ პერიოდში (მაგალითად, საბაჟო ორგანოების ურთიერთობები ბიუჯეტში საფინანსო საშუალებების წარმართვისას. რაც შეეხება საგადასახადო სამართალს, მის საგანს შეადგენს, ქონებრივი ურთ-

იერთობები, რომლებიც წარმოიშობა გადასახადის გადამხდელებსა და სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებს შორის, გადასახადების აკრეფის დროს. ამ ურთიერთობების არსი იმაში მდგომარეობს, რომ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოიღება მისი ქონების გარკვეული ნაწილი ფულადი ფორმით.

როგორც ვხედავთ სამართლის დასახელებული დარგები, თავიანთი კვლევის საგნებით და თავისებურებებით ახლოს არიან საბაჟო სამართალთან. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებათ ადმინისტრაციულ და საფინანსო სამართალს.

საბაჟო სამართლის ნორმები თავისი რეგულირებით ზემოქმედებენ საზოგა¬დოე¬ბრივი ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებზე, რომელთა შესაბამისად იგება საბაჟო სამართლის სხვადასხვა მიმართულებები და განყოფილებების ნორმების მთელი სისტემა, რომელთანაც დაკავშირებული არიან საბაჟო სამართლის სუბიექტები. საბაჟო სამართალი მჭიდროდაა დაკავშირებული კონსტიტუციურ სამართალთან. იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟო სამართალი ანხორციელებს კონსტიტუციური სამართლის მიერ შესასწავლ საზოგადოერივ-სამართლებრივ ინტერესებს, სახელმწიფო ურთიერთობების საფუძვლებს, რომელზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსტიტუციური სამართალი შეადგენს მთელი საბაჟო მექანიზმის ფუნდამენტს. კონსტიტუციური დებულებები, მისი ნორმები, რომლებიც ეხებიან საბაჟო საქმიანობის სფეროს, შემდგომში ვითარდებიან საბაჟო სამართლის დარგად (მაგალითად, საბაჟო რეგულირება, ერთიანი საბაჟო ტერიტორია და სხვა).

საბაჟო საქმიანობის სფეროში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტები იყენებენ სამოქალაქო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ დასახელებული საქმიანობის მონაწილეების ხელშეკრულებებს, აგრეთვე თვით მონაწილეების – ფიზიკური პირების, იურიდიული პირების, ინდივიდუალური მეწარმეების – სამართლებრივ სტატუსს. საბაჟო კანონმდე¬ბლობა მოიცავს მრავალფეროვან ნორმებს, რომლებიც გაწერილია, აგრეთვე სამოქალაქო სამართალში.

სამეწარმეო სამართლის საკმარისად დიდი რაოდენობის ნორმები ადგენენ მოთხოვნებს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიმართ. კერძოდ, ეს ეხება გადაკვეთას პირველ რიგში, ისინი დაკავშირებულია არასატარიფო რეგულირების ღონისძიებთან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მნიშვნელოვნად შეიცვალა თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნიდან გამომდინარე მიდგომები საბაჟო საგადასახადო სამართალთან მიმართებაში, საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება, კერძოდ: ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება შიდა და გარე ტრენინგების სახით, უცხოეთის პარტნიორ ქვეყნებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება, როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე, კერძო სექტორში და ჩვენი ქვეყნის იმიჯის ამაღლება მისი აქტიური ეკონომიკური და სტაბილური პოლიტიკური პირობებიდან გამომდინარე, მოქმედი სამართლებრივი ფორმების სწორად გამოყენებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს საგადასაადო კოდექსი;
3. გიორგი ლორია — „საბაჟო გადასახადებით დაბეგვრა საქართველოში“, თბ. 2011 წ.
4. ირაკლი გაბისონია – საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამ-ხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები – თბ. 2013.

## რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია როგორც საქართველოში, ასევე, უცხო ქვეყნებში საბაჟო სამართლისა და საგადასახადო პოლიტიკის სამართლებრივი ურთიერთობების ცხოვრებაში გატარება, სიახლეების და ახალი მიდგომების გადმოღება პარტნიორი ქვეყნების გამოცდილებიდან, ასევე, საქართველოს როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი გეოგრაფიულად სტრატეგიული ქვეყნის როლის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით, და ამ პროცესებში მისი შემდგომი როლის გაზრდა და განვითარება.

## SUMMARY

In the paper presented and analyzed the legal relations of customs law and tax policy in Georgia as well as foreign countries; Introduction of innovations and new approaches from experience of partner countries; As well as the role and importance of geographically strategic country that connects Georgia, both Europe and Asia; Increase its further role in the country›s economic development processes..

# საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა და სახელმწიფოს როლი მის უზრუნველსაყოფად

**გივი მაკალათია**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

ეკონომიკური ზრდისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანას ჰქონდეს მიმზიდველი საინვესტიციო გარემო. მისი გაუმჯობესება აუცილებელია, როგორც ეროვნული, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისათვის. მიმდინარე პერიოდში საქართველოს ბიზნეს გარემო საგრძნობლად გაუმჯობესებულია, რაზეც მიუთითებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ინტენსივობა. აღნიშნულ სტატიაში ჩვენი მიზანია საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის, როგორც მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის[1] განხილვა და სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკის როლი მისი მიღწევისთვის გრძელვადიან პერიოდში.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა გულისხმობს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ყოველწლიურ ზრდას, ზომიერ ინფლაციას, დაბალ უმუშევრობის დონეს, ფისკალურ მდგრადობას, სახელმწიფო ვალის მცირე წნეხს მშპ-ზე, კონტროლირებად საბიუჯეტო დეფიციტს, ფინანსური სისტემის სტაბილურობას. თითოეული ქვეყნის მთავარი მიზანია მიაღწიოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას შეიძლება გააჩნდეს მაკროეკონომიკური წონასწორობა ცალსახად არ გულისხმობს, მის ეკონომიკურ განვითარებულობას. მაკროეკონომიკური წონასწორობა არის საფუძველი მომავალში ეკონომიკური განვითარების. ამ მხრივ საქართველო კარგი მაგალითია, რადგან მიმდინარე პერიოდში მაკროეკონომიკური პრობლემები ქვეყანაში ნაკლებია. მაგ. ყოველწლიურად ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 4-5% ია, ინფლაციის დონე ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელს სისტემატიურად მნიშვნელოვნად არ ცდება[2], საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ კანონის პარამეტრებშია (არაუმეტეს მშპ-ს 3%, მშპ-ს 60%),[3] ფინანსური კრიზისები არ შეინიშნება, უმუშევრობის დონე 13,9% ია[4] (თუმცა გამოთვლის სტატისტიკური მეთოდი ძალზე სადავოა). მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დონე დაბალია. ბოლო წლების მანძილზე უარყოფითი სასაქონლო სავაჭრო ბალანსი 5 მლრდ. აშშ დოლარზე მეტია.[5] შესაბამისად საინტერესოა განვიხილოთ როგორ მიიღწევა მაკროეკონომიკური წონასწორობა უარყოფითი საგარეო ვაჭრობის პირობებში? სხვა სიტყვებით - როგორ მოიხმარს საქართველოს მოსახლეობა იმ პროდუქტების უმრავლესობას, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას არ შეუქმნია? საინტერესოა, რომ სასაქონლო ექსპორტშიც კი 11,5%-ს მსუბუქი ატომობილების რეექსპორტი წარმოადგენს, რაც საქართველოში არ წარმოებულა. ექსპორტ/იმპორტის სტრუქტურაში გაცილებით უკეთესი ვითარება მომსახურების სექტორშია. მომსახურების ექსპორტი მნიშვნელოვნად აღემატება იმპორტს (ექსპორტი 3,2 მლრდ. აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი 1,6 მლრდ. აშშ დოლარია). აქ უმეტესი წილი ტურიზმსა და ტრანსპორტზე მოდის.[6] გარდა ამისა უარყოფითი საგარეო ვაჭრობის დაფინანსების წყაროებია: შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საგარეო ვალი და გრანტები. ბოლო წლების განმავლობაში შრომით ემიგრანტთა ელექტრონული ფულადი გზავნილები 1,2 -1,5 მლრდ. აშშ დოლარის ფარგლებშია (მთლიანი ფულადი გზავნილების გამოთვლა სტატისტიკურად შეუძლებელია).[7] პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1,5 მლრდ. აშშ დოლარია საშუალოდ. თუმცა მოგების რეპატრიაციაც გასათვალისწინებელია.[8] 2019 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით ვალდებულებების ცვლილება 1,2 მლრდ. ლარს შეადგენს, ხოლო რაც შეეხება გრანტებს საშუალოდ 300-400 მლნ. ლარის ფარგლებშია.[9] აღსანიშნავია, რომ ყოველთვიურად ბიუჯეტიდან საშუალოდ 900 მლნ. ლარი იხარჯება სახელმწიფო შესყიდვებისათვის, ხოლო შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილები საშუალოდ ყოველთვიურად 300 მლნ. ლარია, რაც მნიშვნელოვან სოციალურ გარანტიას წარმოადგენს, რომელიც ძირითადად მოხმარების

კომპონენტში აისახება. საინტერესოა, რომ შრომითი ემიგრაცია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი არ ყოფილა და ბუნებრივია ვერც იქნებოდა. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად გამოსავალი თვითონ საქართველოს მოსახლეობამ გამოძებნა. ამ მხრივ შეიძლება სახელმწიფო „უბილეთო მგზავრის“ როლში მივიჩნიოთ. შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილები, ერთობლივი მოთხოვნის გაზრდისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც მაკროეკონომიკურ სტაბილურობას ხელს უწყობს. ფულად გზავნილებზე დამოკიდებულებით მსოფლიო ბანკის ანგარიშით საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის პირველ ათეულში შედის.[10] აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისათვის აუცილებელი გახდა შრომითი ემიგრაცია და სახელმწიფო ვალების აღება (დღესდღეობით სახელმწიფო ვალი 6,1 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც მშპ-ს 43%-ია). აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს, თუმცა საქართველოში წარმოების დონე კვლავ დაბალია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად მიედინება კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, საფინანსო და სამშენებლო სექტორის განვითარებისათვის.[11] დაბალია დაინტერესება მაღალტექნოლოგიური სამრეწველო საწარმოების შექმნის კუთხით. რაც შეეხება ეროვნულ ინვესტიციებს, საბანკო კრედიტების C1/2 წარმოადგენს საინვესტიციოს, ხოლო დანარჩენი კი იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხს. [12] ამგვარი სტრუქტურა კიდევ ერთხელ მიუთითებს ადილობრივ საინვესტიციო პროექტების სიმწირეზე. გარდა ამისა, ცალკე პრობლემაა ბაზრის კონკურენტუნარიანობა და დივერსიფიცირება. აგრეთვე განუვითარებელია ფასიანი ქაღალდების ბაზარი. მიუხედავად ჩამოთვლილი პრობლემებისა მაკროეკონომიკური წონასწორობა იძლევა კარგ საფუძველს იმისათვის, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკით ქვეყანამ მიაღწიოს წარმატებას. ჩვენი აზრით, მოცემულ პირობებში საბიუჯეტო პოლიტიკა უნდა დაიხვეწოს, რომელიც წარმოგვიდგენია, ეკონომიკის განვითარების (და არა მხოლოდ ზრდის) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. 2004 წლიდან საბიუჯეტო ფინანსური რესურსი მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. მიუხედავად საგადასახადო შემოსავლების ზრდისა 2008 წლიდან პარალელურად იზრდება სახელმწიფო ვალები, რასაც ძირითადად არაფინანსური აქტივების ზრდა იწვევს. ზოგადად ვალის აღება დიდ პროლემას არ წარმოადგენს, თუ მისგან მიღებული ეკონომიკური სარგებელი დანახარჯთან შედარებით მაღალი იქნება. სახელმწიფო ვალების ზრდასთან შედარებით საქონლის ექსპორტის ზრდის ტემპი დაბალია. მაშასადამე, ვალების აღების მიზნობრივად დაგეგმვა მთავარი ამოცანაა. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად მზარდი უნდა იყოს, რადგან ეკონომიკური ზრდა გვქონდეს ქვეყანაში, შესაბამისად საქართველო იძულებულია ვალი აიღოს. ამგვარი ვითარება მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ეკონომიკის კლავწარმოებითი პროცესი არამდგრადია და დამოკიდებულია ეგზოგენურ ფაქტორებზე. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს წინა წელთან შედარებით სახელმწიფო შესყიდვები მეტი იყო ვიდრე ეკონომიკური ზრდა (რაოდენობრივად სახელმწიფო ბიუჯეტის ნაზრდი წინა წელთან იყო 1,428 მლნ. ლარი, ხოლო რეალური მშპ-ს ზრდა 1,349 მლნ. ლარი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ვალუტის სწრაფი და ხშირი დევალვაციაც სწორედ ამაზე მიუთითებს (2015 წელთან შდარებით ეროვნული ვალუტის კურსი აშშ. დოლართან მიმართებით 1,88 დან 2,67 მდე გაიზარდა, რაც 42% იანი გაუფასურებაა).[13] მაშასადამე, უარყოფითი სავაჭრო ბალანსის პრობლემა უნდა გადაიჭრას რეალური სექტორის განვითარებით. აღნიშნულის მიღწევა კი სწორი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების გარეშე რთული წარმოსადგენია. დღესდღეობით ეკონომიკურ ზრდასთან ერთად იზრდება იმპორტი, ვიდრე ექსპორტი. საქართველოს ბიუჯეტში სოციალური პროგრამები სჭარბობს სხვა დანარჩენ მიმართულებებს. ჯამში 0,9 მლნ. ადამიანი იღებს სოციალურ შემწეობასა და პენსიას.[14] სახელმწიფო ბიუჯეტისათვის აღნიშნული ხარჯები არ იქნებოდა მძიმე ტვირთი, ეროვნულ წარმოებას რომ ახალისებდეს უმეტესად. სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის მიზანი უნდა იყოს კერძო სექტორის მიერ მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა. მაშასადამე, მთავარი მიზანი უნდა იყოს მაღალღირებულებითი საექსპორტო პროდუქციის წარმოება. აქედან გამომდინარე დანარჩენი ფინანსური რესურსიდან გარკვეული ნაწილი უნდა მიიმართოს ძირითადად ქვეყნის რეალური სე-

ქტორის განვითარებისათვის. ვფიქრობთ, სხვა შემთხვევაში გრძელვადიან პერიოდში ეროვნული წარმოების გაზრდა კვლავ აქტუალური იქნება, ხოლო საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციის გამძაფრების კვალდაკვალ მისი განხორციელება უფრო გართულდება. აქედან გამომდინარე, მიმდინარე პერიოდში არსებული საბიუჯეტო პოლიტიკის დახვეწა და შემდგომში რესტრუქტურიზაცია, მთავარი ამოცანაა საქართველოსთვის. დღესდღეობით ქვეყანაში მოკლევადიან პერიოდში შეინიშნება ეკონომიკური აქტივობები, რომელიც გრძელვადიანი პერიოდისთვის სტაბილურ ეკონომიკურ განვითარების წინაპირობებს არ წარმოადგენს. შესაბამისად, მომხმარებლური ეკონომიკა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

ამგვარად, საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა მოკლევადიან პერიოდში მიიღწევა, თუმცა გრძელვადიან პერიოდში მომავალი თაობისათვის ძირეული ეკონომიკური პრობლემა, უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდო კვლავ აქტუალური რჩება. აღნიშნულ ნაშრომში გძელვადიან პერსპექტივაში მდგრადი ეკონომიკური კვლავწარმოებითი პროცესისათვის აუცილებელ ფაქტორად დასახელებულია სახელმწიფოს ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა, რაც გამოიხატება სწორი საბიუჯეტო პოლიტიკით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბარათაშვილი ე. მაგრაქველიძე დ. „საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები", თბ., 2009
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2
3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=1
4. http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo
5. http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo
6. https://www.nbg.gov.ge/uploads/bop/bop_2016_geo.pdf
7. www.nbg.gov.ge
8.https://bpn.ge/ekonomika/24019-pirveli-kvartlis-sainvesticio-bumi-da-miliardamde-gadinebuli-kapitali.html?device=xhtml&lang=ka- GE
9. https://mof.ge/5187
10.http://documents.worldbank.org/curated/en/719531507124177735/pdf/120240-WP-PUBLIC-3-10-2017-22-22-41-MigrationandDevelopmentBrief.pdf
11. http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo
12. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304
13. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582
14. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo


## რეზიუმე


ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური კონიუნქტურის გაუმჯობესებისათვის საინვესტიციო გარემოს სრულყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბიზნესის განვითარებაზე ზემოქმედებს, როგორც ეკონომიკური ისე არაეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც გამოსახავენ ქვეყნის საინვესტიციო გარემოს. მოცემულ ნაშრომში, გამოყოფილია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა მაკროეკონომიკური სტაბილურობა. აღნიშნულის მისაღწევად სახელმწიფოს როლი ძალზე მნიშვნელოვანია, რომელიც გამოიხატება ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკით. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს მხრიდან მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფა სხვადასხვა კუთხით შეიძლება განიხილებოდეს, ნაშრომში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო საგარეო ვალზე, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი და უარყოფითი საგარეო ვაჭრობის დაფინანსების ერთ-ერთი საშუალება. ნაშრომში განხილულია მაკროეკონომიკური წონასწორობა, როგორც წინაპირობა ეკონომიკური განვითარებისა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი საქართველოს ძირეულ პრობ-

ლემას წარმოადგენს, საგადასახდელო ბალანსში ფულადი ნაკადები დაბალანსებულია. მიმდინარე ანგარიშის სტრუქტურიდან გამოწვეული უცხოური ვალუტის დეფიციტის დაფინანსების წყაროებია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ტურიზმი, შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილები, საგარეო ვალი (ნაშრომში განხილულია სახელმწიფო საგარეო ვალი) და გრანტები. შესაბამისად მოკლევადიან პერიოდში მიიღწევა მაკროკონომიკური წონასწორობა, თუმცა გრძელვადიანი პერიოდისთვის სტაბილრობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ექსპორტ/იმპორტის სტრუქტურის დაბალანსება.

**S U M M A R Y**

## MACROECONOMIC STABILITY OF GEORGIA AND THE ROLE OF THE STATE FOR ITS ENSURING

Givi Makalatia
TSU Doctoral Student

For the improvement of the social-economic conjuncture, the perfection of the investment environment has a great importance. On the business development is influence as an economic, so as non-economic factors that reflects on the environment of the country investment. In this work is underlined one of the important components of the attractive investment environment, as a macroeconomic stability. For the achievement of the mentioned, the role of the state is very important that is express by the effective budgetary policy. Hence of this, the state can be discussed macroeconomic balance ensuring from different perspectives, the work mainly focuses on state external debt as an economic growth factor and one of the means of the financing of a negative foreign trade. In this work is discussed macroeconomic balance, as a precondition of the economic development. Despite that the current account deficit is a key problem of Georgia, cashflow is balanced in the balance of payments. The financing sources of the foreign currency deficit caused from the current account structure are: direct foreign investment, tourism, money transfers from labor migrant, foreign debt (in the works is discussed a state foreign debt) and grants. Accordingly, in the short-term period will be achieved macroeconomic balance; but for long-term period, for the ensuring stability is auxiliary to balance structure of the export/import.

# შრომის ნორმირებისა და კონტროლის კომპონენტების ანალიზი სამედიცინო დაწესებულებების პერსონალის მოტივაციის სისტემაში

**ციალა ლომაია,**
**ეკონომიკის დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი**
**ეკა ჯაფარიძე**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**საკვანძო სიტყვები:** ნორმირება, კონტროლი, მოტივაცია.

პრობლემის შესწავლის დეტალური ტექნოლოგიის აღწერა, რომელიც გამოიყენება მართვის სხვადასხვა ეტაპზე, შემდეგია:

**I ეტაპი:** „სამედიცინო კადრების მოტივირების სისტემაში შრომის ნორმირების პრობლემის შესწავლა". ნორმაშემქმნელი ფაქტორების სამუშაო დროის ბიუჯეტის ფორმირებაზე გავლენის შესწავლა და ექიმების მოტივირების სისტემაში ნორმირების გამოყენების წინადადების დასაბუთება. ამ ეტაპზე, ნორმაშემქმნელი ფაქტორების გათვალისწინებით, სამედიცინო თანამდებობრივი ფუნქციების დაგეგმვაში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდიკა.

შრომის ნორმირებაში იგულისხმება გარკვეული მოცულობის სამუშაოს შესრულებაზე შრომის დანახარჯის ზომის დადგენა. ნორმაშემქმნელ ფაქტორებს განეკუთვნება სამუშაო დროის გარეგანი დანაკარგები და აუცილებელი სახეობის სამუშაოებზე მუშაობის შინაგანი დროის ხარჯი.

სამუშაო დროის გარეგანმა დანაკარგებმა ფორმირება გაუკეთეს სამუშაოზე გამოუცხადებლობის ფონდს:

**გფ = შ + ა + დ + სწ + სხ,**

სადაც **შ** – დაგეგმილი და დამატებითი შვებულებების, მათ შორის უფასო შვებულებების გამო დაკარგული ცვლებია; **ა** – ავადმყოფიბასთან დაკავშირებული დაკარგული ცვლები; **დ** – ორსულობასთა და მშობიარობასთან დაკავშირებული ცვლების დანაკარგები; **სწ** – სწავლებასთან დაკავშირებული ცვლების დანაკარგები; ხოლო **სხ** – სახელმწიფო მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული სამუშაოზე არგამოსვლით დაკარგული ცვლები.

სამუშაო დროის შინაგან დანახარჯებს მიეკუთვნება ის დრო, რომელიც იხარჯება პაციენტების საექიმო კომისიაზე და სხვა აუცილებელ სამუშაოებზე და მისამართების ბრძანებების გაფორმებაზე (შინაგან საექიმო კონფერენციებზე, საწარმოო თათბირებზე და ინსტრუქტაჟებზე დასწრება).

აღნიშნულ ეტაპზე გამოიყენება სააღრიცხვო–ანალიტიკური მეთოდი და საექსპერტო შეფასების მეთოდი. ნორმაშემქმნელი ფაქტორების შესწავლის სტატისტკური უზრუნველყოფა წარმოდგენილია სამედიცინო სადაზღვევო ორგანიზაციების მონაცემებით; აგრეთვე დაწესებულებების შიგა საანგარიშო–სააღრიცხვო დოკუმენტებით; მათ შორის საწარმოო თათბირების ოქმებით, საექიმო კომისიებისა და სააღრიცხვო ჟურნალების ოქმებით.

დამატებით, ექიმის სამუშაო ცვლაში დროის დანახარჯების სტრუქტურირებისათვის, გამოიყენებოდა სამუშაო დროის ბიუჯეტის გამოკვლევის სპეციალური მეთოდები – მუშაობის ცალკეული პროცესების ქრონომეტრაჟი და ფოტოქრონომეტრაჟული გაზომვები.

გარკვეულ კალენდარულ პერიოდებში (თვე, კვარტალი, წელი) სამუშაო დროის ნორმები გამოითვლება ხუთდღიანი სამუშაო კვირის და ორი დასვენების დღის საანგარიშო გრაფიკის მიხედვით, გამომდინარე ყოველდღიური სამუშაო დღის დადგენილი ხანგრძლივობიდან.

ნომინალური და გამოცხადებული სამუშაო დროის ფონდის საშუალო წლიური მონაცემები (სამუშაო დროის საშუალო წლიური ნორმა) განისაზღვრება, როგორც წინა წლის საშუალო ნომინალური ფონდების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა.

ექიმების სამუშაო ცვლის შიგნით სამუშაო დროის ბიუჯეტის გამოკვლევა ხორციელდება სამი მეთოდით: ქრონომეტრაჟი, ფოტოქრონომეტრაჟული დაკვირვება და სოციოლოგიური გამოკითხვა.

**ქრონომეტრაჟი** – წარმოადგენს გარკვეუ-

ლი ტექნოლოგიური ოპერაციის ჩატარებაზე საშუალო სამუშაო დროის დანახარჯების შესწავლას, ოპერაციის ფაქტური განმეორების კოეფიციენტის გათვალისწინებით. გამოყენებული იყო შემდეგი სტატისტიკური ინსტრუმენტები: ტექნოლოგიური ოპერაციის ქრონომეტრაჟის რუქა (შრომის უნარის არქონასთან დაკავშირებით სამედიცინო კომისიაზე ბრძანების გაფორმება; სამედიცინო კომისიაზე ბრძანებისა და მისი თამნხლები დოკუმენტაციის გაფორმება სამედიცინო–სოციალურ ექსპერტიზაზე გადამისამართების დროს; ექიმის სპეციალობისაგან დამოუკიდებლად ტექნოლოგიური ოპერაციის შესწავლის დროს დაკვირვებების საერთო რაოდენობა.

ცალკეულ ტექნოლოგიურ ოპერაციებზე სამუშაო დროის საშუალო დანახარჯები განისაზრვრება, როგორც ყველა გაზომვების საშუალო არითმეტიკული. ტექნოლოგიური ოპერაციის განმეორებადობის ექსპერტული კოეფიციენტი განისაზღვრება განყოფილებების გამგეების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ ამ დოკუმენტაციის გაფორმების პრაქტიკული გამოცდილება და უნარი.

გასაანალიზებელი ტექნოლოგიური კომპონენტების შესრულებისათვის საჭირო სააღრიცხვო დრო განისაზღვრება ქრონომეტრაჟის მიხდვით აღნიშნულ ოპერაციაზე საჭირო საშუალო ფაქტიური დროის გადამრავლებით მისი განმეორებადობის ექსპერტულ კოეფიციენტზე. ყოველ კვლევაში ფაქტიური განმეორებადობის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით :

$$K = n : N$$

სადაც : n – იმ ქრონომეტრირებული გამოკვლევების რიცხვია, რომელთა დროს ადგილი ქონდა აღნიშნულ ოპერაციას; N - იმავე ქრონომეტრირებული გამოკვლევების საერთო რიცხვი.

დროის გაზომვები ტარდება შერჩევითი მეთოდით (იზომება ერთი სამუშაო ოპერაციის დროის ხანგრძლივობა, შემდეგ მომდევნოსი და ა.შ.) და მიმდინარე დროის განმავლობაში სამუშაო ოპერაციების კომპლექსის განხორციელების უწყვეტი მიმდინარეობის მეთოდით.

გაზომვების ოპტიმალური რაოდენობის საფუძველზე აიგება ქრონო-რიგები (ვარიაციული რიგები) და გამოითვლება სამუშაო ოპერაციის შესრულებაზე საჭირო დროის საშუალო მონაცემები, რომლის დაჯამება იძლევა სამუშაოს ამა თუ იმ ელემენტების შესრულების ნორმატიულ დროს.

წესად ითვლება ოპერაციის შესრულებაზე საჭირო ჭეშმარიტი დროის ხანგრძლივობის ქრონო-რიგების საშუალო არითმეთიკული, უფრო იშვიათად - მოდა, ეს იმ შემთხვევაში, როცა მის წილად მოდის გაზომვების არანაკლებ ერთი მესამედისა.

ქრონო-რიგის შეფასების კრიტერიუმის სახით გამოიყენება მდგრადობის კოეფიციენტი (კმდგრდ),რომელიც განისაზღვრება ქრონომეტრაჟის მაქსიმალური მნიშვნელობის თანაფარდობით მის მინიმალურ მნიშვნელობასთან, ფორმულით:

$$k_{მდგრდ} = n / K$$

სადაც n – საჭირო გაზომვების რიცხვია;

K - რიგის მდგრადობის ნორმატიული ოეფიციენტია

k - კოეფიციენტი, რომელიც შეესაბამება საჭირო სანდოობის ალბათობას (ალბათობა 0,95კ = 2).

ქრონომეტრაჟის დროს დაკვირვებების რაოდენობა გამოითვლება ფორმულით n = 2500 k( K-1) სადაც: 5%–იანი დაკვირვებების სიზუსტის და ქრონო-რიგის მდგრადობა 2–ის ნორმატიული კოეფიციენტის დროს.

„ფოტოქრონომეტრაჟული დაკვირვებები". ფოტოქრონომეტრაჟის ჩატარების დროს გამოიყენება ფოტოქრონომეტრაჟული დაკვირვებების სპეციალურად შემუშავებული რუქები, სადაც ფიქსირდება მიმდინარე დროის განმავლობაში სამუშაო ოპერაციების ჩატარების თანმიმდევრობა და დასახელება. მიმდინარე დრო, ფიქსირებული დროისაგან განსხვავებით, როცა იზომება უშუალოდ ცალკეული ოპერაციების მიმდინარეობის დრო, განისაზღვრებოდა ჩვეულებრივი საათით, წუთობრივი სიზუსტით. თითოეული ოპერაციის ხანგრძლივობის გაზომვისათვის დგინდება მისი საზღვრები, ანუ ფიქსაციის წერტილები. ფიქსაციის წერტილები არის მკაფიო გარეგანი ნიშნები, რომლებიც განსაზღვრევენ მისი ხანგრძლივობის მოხერხებული გაზომვისათვის ოპერაციის დაწყებას და დასრულებას. ყოველ სამუშაო ოპერაციას აქვს საწყისი და საბოლოო ფიქსაციის წერტილები. სრულდება სავალდებულო მოთხოვნა – სამუშაო ოპერაციის საბოლოო ფიქსაციის წერტილი უნდა ემთხვეოდეს შემდგომი სამუშაო ოპერაციის საწყისი ფიქსაციის წერტილს. ფოტოქრონომეტრაჟის ჩატარებისათვის ივსება Excel-2009 ფორმატში ჩასმული ოქმი.

ფოტოქრონომეტრაჟის დროს დაკვირვე-

ბების რაოდენობა დადგენილია ფორმულით n = 212/(0,022*212+1)=37 .

შრომის ნორმატიული ხარჯვების ორიენტირება საჭიროა არა ამა თუ იმ მუშაკის ინდივიდუალურ თვისებებზე, არამედ მოცემული სამუშაოს ტიპიური შემსრულებლის გასაშუალოებულ მახასიათებლებზე. გარკვეული სამუშაოს შესრულებისათვის შრომის დანახარჯების ნორმატიული სიდიდეების დაპროექტება ხდებოდა ტიპიური მუშაკის შრომის გასაშუალოებული დანახარჯების მიხედვით.

დამატებით ექიმის სამუშაო ცვლაში შრომითი დროის დანახარჯების სტრუქტურიზაციისათვის გამოიყენება კვლევის სპაციალური მეთოდები– სამუშაო დროის ბიუჯეტის შრომის ცალკეული პროცესების ქრონომეტრაჟული და ფოტოქრონომეტრაჟული გაზომვები. სტატისტიკურ ინსრუმენტებს წარმოადგენს ტექნოლოგიური ოპერაციების ქრონომეტრაჟის და ფოტოქრონომეტრაჟული დაკვირვებების რუქები, რომელიც ხორციელდება მიმდინარე დროის განმავლობაში შრომითი ოპერაციების დასახელებისა და მათი თანმიმდევრობის ფიქსირების გზით.

ქრონომეტრაჟი და ფოტოქრონომეტრაჟი ტარდება ჯანდაცვაში შრომის ნორმირების ორგანიზების სამედიცინო მეთოდური რეკომენდაციების გათვალისწინებით.

III - V ეტაპები: „სამედიცინო კადრების მოტივირების პროცესის მართვის მოდელის შემუშავება, რომელიც მიმართულია სამედიცინო დახმარების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ამაღლებაზე. მოდელის დანერგვის ალგორითმის შემუშავება“ და „პერსონალის მოტივირების პროცესის მართვის მოდელის დანერგვა და მისი ეფექტურობის შეფასება“.

ყველაზე უფრო განზოგადებული და საერთო სახით მოდელი განისაზღვრება, როგორც „თეორია რომელიც აღწერს სისტემაში არსებულ სტრუქტურას და მის შიგნით არსებულ ურთიერთქმედებებს“.

პროცესის მოდლირება ეფუძნება გამოვლენილ ტენდენციებს, კანონზომიერებებს და საკვლევი ობიექტის ტექნოლოგიურ მახასიათებლებს – მოტივირების სისტემის მართვის პროცესს. კვლევის პროცესში დგინდება მოდელის აგების მოთხოვნები: სიმარტივე, ინფორმაციულობა, ობიექტის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ცვლილებების შეტანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა; იმისათვის, რომ ზუსტად აღიწეროს საკვლევი ობიექტი, გამოიყენება ჯანდაცვის სისტემაში პროცესების გაუმჯობესების რეკომენდაციები.

სამედიცინო კადრების მოტივირების პროცესის მართვის მოდელი წარმოდგენილია ორგანიზაციული დოკუმენტის ფორმით, რომელიც აღწერს პერსონალის მოტივირების პროცესის თანმიმდევრობისა და სპეციფიკის განხორციელებას; იგი ემსახურება ორგანიზაციის მიზნების მიღწევას; აგრეთვე ასახავს შემოთავაზებულ მოდელში ფუნქციური კავშირების საილუსტრაციო გრაფიკულ მასალებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Banks, N. J. Variability in clinical systems: applying modern Quality control methods to health care. / [N. J. Banks, R. H. Palmer, D. M. Berwick et al.] // Jt. Comm. J. Qual. Improve. - 2005. - Vol. 21. - P.407-419.
2. Andrews, S. L. QA vs QI: The Changing Role of Quality in Health Care. // J. Quality Assurance. - 1991. - Vol. 38. - P.14-15.
3. Batalden P.B., Nelson E.C., Roberts J.S. Linking Outcomes Measurement to Continual Improvement: The serial “V” Way of Thinking about improving Clinical Care // Journal on guilty improvement, 1994, - Vol. 20, 4. -P.167-180.
4. Donabedian A. Quality and cost: Choices and responsibilities. J. Occup. Med. 1990; 32: pp. 1022-1028
5. “მენეჯერის ბრძოლა წარმატებისათვის“, ჟ. სტრატეგია და ორგანიზაციები, საუკეთესო სტატიების კრებული, თბილისი, 2012, გვ, 205.
6. Eddy D.M. Clinical policies and the quality of clinical practice. N Engl. J Med. 1982;307; 343-347

## რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია მართვის ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის -შრომის ნორმირებისა და კონტროლის ანალიზი სამედიცინო დაწესებულებებისათვის. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს კომპონენტები გამოიყენება მართვის სხვადასხვა ეტაპზე. ავტორი დეტალურად განიხილავს ამ ეტაპებს და გვაძლევს წარმოდგენას მათი გამოყენების სფეროებსა და ტექნოლოგიაზე.

გარდა ამისა, სტატიაში დაწვრილებით არის განხილული სამედიცინო კადრების მოტივირების სისტემის სხვა საინტერესო დეტალები.


## SUMMARY

ANALYSIS OF LABOR NORMS AND CONTROL COMPONENTS IN THE MEDICAL STAFF›S MOTIVATION SYSTEM


**Eka Japaridze,**
The Doctoral Student of Georgian Technical University
**Tsiala Lomaia,**
Doctor of Economics,
The Associate Professor of Georgian Technical University



The article presents two important components of the management - analysis and control analysis for medical institutions. The author notes that these components are used for different stages of management. The author discusses these stages in detail and gives us an idea of their areas of use and technology.

In addition, the article discusses other interesting details of the medical staff›s motivation system.

# ქალაქ თბილისის ატმოსფეროს დაბინძურების შეფასება

**ირაკლი მიქაძე**
**გეოლოგია–მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**
**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

გაეროს ინფორმაციით, ქ. თბილისის ატმოსფერო, დაბინძურების ხარისხით შედის მსოფლიოს ყველაზე დაბინძურებულ ქალაქთა ათეულში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის ინფორმაციით, „2018 წლის პირველი აგვისტოდან, ქვეყანაში ინერგება ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტები, რაც საქართველოს საშუალებას მისცემს, ქვეყნის მასშტაბით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება თანამედროვე ევროპული სტანდარტების გამოყენებით განახორციელოს".

დღეს თბილისში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სახელმწიფო მონიტორინგის წარმოებაზე პასუხისმგებელია, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტო. იგი, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის, ავტომატური სადგურების მონაცემებს აქვეყნებს ყოველდღიური, საინფორმაციო ბიულეტინის სახით.

ქ. თბილისში, ავტომატური სადგურები განთავსებულია: აკ. წერეთლის გამზირი №105; ალ. ყაზბეგის გამზირი, წითელ ბალთან; ვარკეთილი 3, I მკრ-ნი, მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია; მარშალ გელოვანის გამზირი №6. გარდა ამ სადგურებისა, ვაშლიჯვარის მეტეოროლოგიური სადგურის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ქალაქის ფონური ავტომატური სადგური, რომელიც უწყვეტ რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში, აწარმოებს ჰაერის ხარისხის მონიტორინგს.

აღნიშნული სადგურები აღჭურვილია უახლესი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აპარატურით და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პერსონალით. მიუხედავად ამისა, დღეისათვის, თბილისის ჰაერის მდგომარეობის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად სრული ინფორმაცია არ არსებობს, რადგან აღნიშნული სადამკვირვებლო სადგურების რაოდენობა და სივრცითი განაწილება საკმარისი არ არის.

არსებობს ჰაერის ხარისხზე დაკვირვების საპილოტე წერტილების 5 ძირითადი ლოკაცია, რომელთა შესარჩევად განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმები: ინტენსიური სატრანსპორტო კვანძი; სამშენებლო მტვრით დაბინძურებული ტერიტორიები და ქალაქის რეკრეაციული ზონები: 1. გმირთა მოედანი: 3 სადამკვირვებლო წერტილი - კოსტავას №63-ის მიმდებარე ტერიტორია, ტროტუარის ზედაპირიდან 2 მეტრის სიმაღლეზე; „თერთმეტსართულიანი სახლის" მე-2 სართული და ესტაკადა - ტროტუარის საპირისპირო მხარე. 2. ვაკის პარკი (რეკრეაციული ზონა). 3. ლისის ტბა (რეკრეაციული ზონა). 4. სამშენებლო ობიექტი დიღმის მასივში, ლუბლიანას ქუჩაზე. 5. სამშენებლო ობიექტი დიდ დიღომში, მირიან მეფის ქუჩაზე.

ატმოსფერული ჰაერის ანალიზების შედეგად განისაზღვრა შემდეგი დამაბინძურებლები: ნახშირჟანგი (CO); აზოტის დიოქსიდი (NO2); საერთო მტვერი; PM10 (10 მიკრომეტრის ზომის მცირედისპერსიული ნაწილაკები); PM2.5 (2.5 მიკრომეტრის ზომის მცირედისპერსიული ნაწილაკები).

ლაბორატორიული გაზომვები ჩატარდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის - ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში. ანალიზები ჩატარდა დღე-ღამის 4 სხვადასხვა პერიოდ-ში: პირველი ანალიზი – 07:00 საათზე; მეორე – 13:00 საათზე; მესამე – 19:00 საათზე. მეოთხე - 00:00 საათზე. მონაცემების შედარებითი ანალიზისთვის, გაზომვები ჩატარდა სამუშაო და არასამუშაო დღეებში. აღნიშნული პერიოდულობით, ანალიზები ჩატარდა კვლევაში გათვალისწინებულ ყველა დამაბინძურებელზე: ნახშირჟანგი (CO), აზოტის დიოქსიდი ($NO_2$), საერთო მტვერი, მტვერი $PM_{2.5}$, მტვერი $PM_{10}$.

ნარშირჟანგის (CO) შემცველობა ატმოსფერულ ჰაერში გმირთა მოედნის სხვადასხვა პოზიციებზე, მაქსიმალურია 13 საათზე, როდესაც მანქანების მოძრაობა საკმაოდ ინ-

ტენსიური ხდება. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მისი კონცენტრაციის მნიშვნელობები უტოლდება ზდკ-ს (5 მგ/მ3). გამონაკლისია შაბათ-კვირის შედეგი, როდესაც CO-ს მაქსიმალური კონცენტრაცია ჰაერში უტოლდება მხოლოდ 0.6 ზდკ-ს. მინიმალური მნიშვნელობები აღინიშნა 7 და 24 სთ-ზე.

ვაკის პარკისა და ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიების ატმოსფერულ ჰაერში, ნახშირჟანგისა და აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციები საკმაოდ დაბალია და შეესაბამება რეკრეაციული ზონის პირობებს. რაც შეეხება სამშენებლო ობიექტების მონაცემებს, აქ გამოიკვეთა ლუბლიანას ქუჩის შედეგები და კერძოდ, ზდკ-ს მნიშვნელობას მცირედ გადააჭარბა ნახშირჟანგის მნიშვნელობამ, რაც გამოწვეულია სამშენებლო ტექნიკის საკმაოდ ინტენსიური გამოყენებით.

შედეგად, სამშენებლო ობიექტი, ინტენსიური მუშაობის პირობებში, შეიძლება იქცეს ამ კომპონენტებით ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთ წყაროდ. აზოტის დიოქსიდის შემთხვევა ანალოგიურია ნახშირჟანგის შემთხვევისა. შესაბამისად, მისი მაქსიმალური კონცენტრაციები ჰაერში დაემთხვა პიკის საათებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალური კონცენტრაციები მერყეობს ზდკ-ს მნიშვნელობების ფარგლებში. გამონაკლისია შაბათი და კვირა, როდესაც NO2-ის კონცენტრაცია ჰაერში ტოლია 0.5 ზდკ-ის.

მიღებული შედეგები მიანიშნებს, რომ CO-ს შემცველობა ატმოსფერულ ჰაერში მკვეთრად დამოკიდებულია ქალაქში არსებული ავტომანქანების რაოდენობაზე და მათი მოძრაობის ინტენსივობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული კომპონენტების სადღეღამისო ზდკ-ები განსხვავდება მათივე ერთჯერადი ზდკ-ს მნიშვნელობებისგან, რაც წინა შემთხვევებთან შედარებით განსხვავებულ სურათს იძლევა. მაგალითად, CO-ს შემთხვევაში ზდკ-ს მნიშვნელობას გადააჭარბა ლუბლიანას სამშენებლო ობიექტის მონაცემმა (1.3 ზდკ), ასევე, ზდკ-ს ფარგლებში დაფიქსირდა მისი კონცენტრაცია კოსტავას ქუჩის მეორე სართულზეც. რაც შეეხება NO2-ს, მისი შემცველობები ყველა პოზიციაში მაღალია ზდკ-ს მნიშვნელობებზე, გარდა რეკრეაციული ზონებისა. ყველაზე მაღალი კონცენტრაციები აღინიშნა კოსტავას სამივე დაკვირვების წერტილებში (1.7-2.3 ზდკ). ატმოსფერულ ჰაერში არსებული მცირედისპერსული ნაწილაკები $PM_{10}$ და $PM_{2,5}$ თავისი მასისა და ზომების სიმცირიდან გამომდინარე სასუნთქი გზების გავლით, ადვილად ხვდება ადამიანის ფილტვებში, ეს ნაწილაკები აღმოჩენილია, ასევე, სისხლის შემადგენლობაშიც. აქედან გამომდინარე, $PM_{10}$ და $PM_{2,5}$ ნაწილაკებმა დიდი ალბათობით შეიძლება გამოიწვიონ სხვადასხვა ტიპის დაავადებები და შესაბამისად, საფრთხე შეუქმნან ადამიანების ჯანმრთელობას.

ბოლო წლებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობაში, $PM_{10}$ და $PM_{2,5}$ ნაწილაკების არსებობას და მის ნორმატივებს. კერძოდ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO), 2005 წელს, $PM_{10}$ და $PM_{2,5}$ ნაწილაკებისათვის შემოგვთავაზა, ატმოსფერულ ჰაერში, შემდეგი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები: საშუალო დღეღამური კონცენტრაცია 50 მკგ და საშუალო წლიური 20 მკგ, $PM_{10}$-სთვის და საშუალო დღეღამური კონცენტრაცია 25 მკგ, ხოლო საშუალო წლიური კი 10 მკგ, $PM_{2,5}$-სათვის. სხვადასხვა ქვეყნებში, ამ სიდიდეების მიხედვით კეთდება დასკვნები ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ და შეფასებები ადამიანების ჯამრთელობაზე ზემოქმედების შესახებ.

მცირედდისპერსული ნაწილაკები, ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას პირველ რიგში იწვევენ რესპირატულ და გულსისძარღვთა დაავადებებს, რომლებსაც ხშირად სავალალო შედეგებამდე მივყავართ. ასევე დაფიქსირებულია სისმსივნური დაავადებების რისკები და შემთხვევები.

WHO-ს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში ამ ნაწილაკების ჰაერში მომატებული კონცენტრაციების გამო, წელიწადში იღუპება 3 მილიონამდე ადამიანი.

თუ ვიმსჯელებთ ერთჯერადი დასაშვები კონცენტრაციების მიხედვით, მიღებული მონაცემები არ არის მაღალი და შეიძლება ითქვას რომ დამაკმაყოფილებელია.

10-ის გასაშუალებული მონაცემების მიხედვით, მისმა კონცენტრაციამ, ატმოსფერულ ჰაერში, ზდკ-ს მცირედ გადააჭარბა ლუბლიანას ქუჩაზე, ასევე მისი კონცენტრაცია ჰაერში ზდკ-ს გაუტოლდა მირიან მეფის ქუჩაზე არსებული სამშენებლო ობიექტისა და გმირთა მოედნის მეორე სართულის ნიშნულის ტერიტორიებზე.

ატმოსფერულ ჰაერში $PM_{2,5}$–ის საშუალო დღეღამური ერთჯერადი დასაშვები კონცენტრაციები (მკგ/მ3), არ არის მაღალი და შეი-

ძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. აქაც გასათვალისწინებელია, რომ PM2.5-ის ნაწილაკები საკმაოდ მცირე ზომისაა და მსუბუქია. 10-ზე 10-ჯერ უფრო დაბალი დალექვის სიჩქარის გამო, $PM_{2.5}$-ის ნაწილაკები, სისტემატურად იმყოფება შეტივტივებულ მდგომარეობაში ატმოსფერულ ჰაერში. აქედან გამომდინარე, $PM_{2.5}$-ს არ ახასიათებს მკვეთრად გამოკვეთილი კორელაცია დაკვირვების დროებთან.

ყურადსაღებია, რომ დაკვირვების, თითქმის ყველა პოზიციაზე $PM_{2.5}$-ის საშუალო დღეღამური კონცენტრაციები აჭარბებს მის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს და მაქსიმუმს აღწევს ორივე სამშენებლო ობიექტის ტერიტორიებზე და გმირთა მოედნის საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე (1.55-1.68 ზდკ). ჯამურმა მტვერმა ჰაერში, გმირთა მოედნის ყველა პოზიციაზე, არა მარტო პიკის საათებში ($13.^{00}$), არამედ დღის მეორე ნახევარშიც ($19.^{00}$), გადააჭარბა ზდკ-ს მნიშვნელობას (0.5 მგ/მ3 ). მისი სიდიდეები მერყეობდა 1.4 ზდკ-სა და 3.6 ზდკ-ს სიდიდეებს შორის.

თბილისში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ ავტოტრანსპორტი სახელდება. სხვადასხვა კვლევების და ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, ჰაერში საერთო დაბინძურების გაფრქვევის 80% მეტი ავტოტრანსპორტზე მოდის.

ატმოსფეროში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების ემისია განპირობებულია: საგზაო მოძრაობის არასათანადო ორგანიზებისა და მართვის, საწვავის ხარისხის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გაუმართავობის, ავტოპარკის ასაკის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების დაბალი დონის გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, 2018 წლის 9 ივლისის მდგომარეობით, თბილისში, რეგისტრირებულია მსუბუქი, სამგზავრო, სატვირთო და სპეციალიზებული, 450843 ავტოსატრანსპორტო საშუალება. კვლე¬ვის აღნიშნული კომპონენტის მიზანია, ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობის (კერძოდ, გამონაბოლქვის) ტესტირების საფუძველზე, ავტომობილების მიერ, ჰაერის დაბინძურების მთავარი მიზეზების დადგენა.

ზოგადად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ასს) მიერ გამოფრქვეული აირები რთული შემადგენლობისაა და რამდენიმე კომპონენტს მოიცავს: ბენზინი, დიზელი $N_2$, $O_2$, $H_2O$ (ორთქლი), $CO_2$, CO, NOx, C-H, ალდეჰიდები, ჭვარტლი, ბენზოპირენი-3.

მიუხედევად ასს-ს მიერ გამოფრქვეული აირების კომპლექსური შემადგენლობისა, დღეს, საქართველოში დადგენილი ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, ბენზინის ძრავიან ავტომობილებზე მოწმდება მხოლოდ ნახშირჟანგის (CO) ზღვრული შემცველობის დასაშვები კონცენტრაცია. რაც შეეხება დიზელის ძრავიან ასს-ს, გამონაბოლქვი მოწმდება მხოლოდ კვამლიანობის მაჩვენებელზე.

კვლევისათვის ტესტირების ჩასატარებლად შეირჩა კომპანია - შპს „აუტოტესტჯორჯია. ტესტირება ჩაუტარდა 40 მსუბუქ ავტომობილს. კვლევის საფუძველზე დგინდება, რომ გამონაბოლქვში დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციის მაღალი დონე პირველ რიგში უკავშირდება ასს-ების ტექნიკურ მდგომარეობას.

თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ანთროპოგენურ ფაქტორებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივ ფაქტორებს, რაც გასათვალისწინებელია ქალაქის სივრცითი მოწყობის საწყის ეტაპებზე. ქალაქის სივრცითი მოწყობის აღნიშნული მიდგომა გულისხმობს ქალაქის და მისი შემოგარენის თითოეული ლანდშაფტის ეკოლოგიური და ფუნქციური (რესურსწარმოებითი, გარემოსდაცვითი, გარემოსაღმდგენი, რეკრეაციული) მახასიათებლების სპეციალურ კვლევას და შესაბამისად გათვალისწინებას. ეს პროცესი ძალზე სპეციფიკურს ხდის როგორც დარგობრივი, ისე ინტეგრირებული ლანდშაფტური დაგეგმარების ამოცანებს.

თბილისის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის კვლევისას, გასათვალისწინებელია ქალაქის გეოგრაფიული ლანდშაფტი. ქალაქის ფარგლებში გვხვდება როგორც დაბალი და საშუალომთიანი, ისე ვაკე და გორაკ-ბორცვიანი რელიეფი, სადაც განვითარებულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული, მშრალი სუბტროპიკული და ზომიერად ნოტიო ჰავასთან დაკავშირებული ჰუმიდური, სემიჰუმიდური და სემიარიდული ლანდშაფტის ტიპები.

მტკვრის ხეობისთვის დამახასითებელია ჭალის ტყის ლანდშაფტები, რომლებსაც გამჭოლი ხასიათი აქვს. ქალაქის ბუნებრივი მცენარეულობა მიეკუთვნება 13 ტიპის ეკოსისტემას – დაწყებული ჰუმიდური ტყეებით და დამთავრებული ნახევრადუდაბნოს სემი-

არიდული მცენარეულობით. სულ თბილისის ფარგლებში წარმოდგენილია 11 ქვეტიპის ლანდშაფტი, რაც უნიკალურია მსოფლიოს დედაქალაქების ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაში.

თბილისის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის განმაპირობებელ ბუნებრივ ფაქტორებს შორის გამოიყოფა 3 ძირითადი ფაქტორი: 1. ჩრდილო-დასავლეთის გაბატონებული ქარები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის ბუნებრივი განიავების კუთხით; 2. ქალაქის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის არეალების შენარჩუნება/გამწვანება, რომლებსაც რეალურად გააჩნიათ გარემოსაღმდგენი ფუნქცია; 3. ქალაქის ფარდობითი ტენიანობის უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს როგორც ჟანგბადის წარმოქმნას მცენარეთა ფოტოსინთეზის გზით, ასევე ჰაერის ხარისხის გაჯანსაღებას. თბილისის ჰაერის ხარისხზე, ისევე როგორც ქალაქის ჰავაზე ზოგადად, მოქმედებს ქარების მიმართულება და სიძლიერე. ქალაქის ცენტრალური ნაწილის ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 2-3 გრადუსით განსხვავდება გარეუბნების ანალოგიური მაჩვენებლებისგან. ქალაქის ჰაერის ხარისხზე განსაკუთრებული ზეგავლენა აქვს ბუნებრივი განიავების პროცესს, რომელიც უპირველესად გაბატონებულ ქარებს უკავშირდება. ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიმართული გაბატონებული ქარები ძირითადად მდინარე მტკვრის ხეობას მიუყვება და ფერხდება მდინარისადმი პერპენდიკულარულად განლაგებული ქუჩებისა და განაშენიანების გამო.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გაბატონებული ქარების ეკოლოგიური ეფექტიანობის გავლენის გათვალისწინება, რათა არ მოხდეს მრავალსართულიანი შენობების კონცენტრაცია, მდინარე მტკვრის ხეობის გასწვრივ და ქალაქის გარშემო მდებარე მთების ზედა ნაწილებში, რამაც შეიძლება დააბრკოლოს ქარის მოძრაობა, ჰაერის ბუნებრივი გაწმენდისა და თბილისის კლიმატის რეგულირების პროცესი.

აღსანიშნავია, რომ მაღალი კორპუსების აშენების შემდეგ, ქალაქში შეიცვალა ე.წ. „ქარის ვარდი“ და შესაბამისად გამოიკვეთა ქალაქში შედარებით „ცხელი წერტილები“. უქარო ამინდებში, თბილისის ქვაბულში ფორმირდება სმოგი, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა დიდუბის, ჩუღურეთის, კრწანისის, მთაწმინდის, ვაკის და საბურთალოს რაიონებში. ამას თან ერთვის ასფალტირებული და ბეტონის ზედაპირის მაღალი ხვედრითი წილი, რაც დიდი გავლენაა ტემპერატურულ რეჟიმზე. თბილისის ფარგლებში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი როლი ენიჭება იმ ტერიტორიებს, რომელთაც რეალურად შეუძლიათ გარემოს აღმდგენი ფუნქციის შესრულება. ამგვარია, თრიალეთის და საგურამო – იალნოს ქედის ის განშტოებები, რომლებიც ტყეების განვითარების პოტენციალით ხასიათდება. ეს ტერიტორიები, ქალაქგეგმარების პროცესში მოითხოვს, ლანდშაფტურ და ლანდშაფტურ-რეკრეაციული ფუნქციის განსაზღვრას.

თბილისის ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღების პროცესში მნიშვნელოვანია ჰაერის ფარდობითი ტენიანობის გაზრდა. სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ ატმოსფერულ ჰაერში ჟანგბადის მუდმივობის მნიშვნელოვან წყაროს სწორედ წყალი წარმოადგენს.

დიდი ქალაქებისათვის გარემოს ეკოლოგიური გაჯანსაღების მიზნით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც შემოგარენის (ბუნებრივი ტყეები, ხელოვნური ნარგაობა), ასევე, მის შიდა გამწვანებულ ტერიტორიებს, რომლითაც იქმნება ძირითადი მიკროკლიმატი, მცენარეები გარემოდან შთანთქავენ ჭარბ ნახშირორჟანგს, ხოლო გამოყოფილი ჟანგბადი საჭიროების შემთხვევაში, ატმოსფერულ ჰაერში ავსებს შესაძლო არსებულ დეფიციტს. ზაფხულის ცხელ თვეებში, მცენარეები ძირითადად ღამის საათებში შეიწოვენ წყალს და მას დღის საათებში გარემოს ტემპერატურის შესაბამისად, ეტაპობრივად აორთქლებენ, ამით თავს იცავენ როგორც გადახურებისაგან, ასევე ახდენენ ჰაერის ფარდობითი ტენიანობის რეგულირებას. გარდა ამისა, ფოტოსინთეზის შედეგად გამოიყოფა სახეობისათვის დამახასიათებელი, სხვადასხვა სახის ბიოლოგიურად აქტიური, რთული ქიმიური ნივთიერებები, ე.წ. ფიტონციდები, რომლებიც ჰაერს ასუფთავებს როგორც ადამიანისათვის მავნე აირებისა და ასევე მიკროორგანიზმებისაგან. ასევე ფილტრავს ჰაერს მტვრის ნაწილაკებისაგან. ქალაქში და მის შემოგარენში, მწვანე ინფრასტრუქტურის ეფექტური განვითარება, ჰაერის გაჯანსაღებასთან ერთად ხელს უწყობს ფარდობითი ტენიანობის რეგულირებას, რაც გარემოსთვის მეტად მნიშ-

ვნელოვანი ფაქტორია.

ქ. თბილისში კლიმატური ცვლილებების უარყოფითი ზემოქმედების წინააღმდეგ და გარემოს გაჯანსაღების კუთხით, გარდა გამწვანებული ტერიტორიების გაზრდისა, საჭიროა გაიზარდოს ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ასამაღლებლად ხელშემწყობი ფაქტორებიც. ამისათვის საჭიროა მცენარეების და ქალაქის ქუჩების ინტენსიური მორწყვა, ასევე დადებითი ზეგავლენა ექნება ქალაქში შადრევნების ქსელის განვითარებას.

.

## რეზიუმე

გაეროს ინფორმაციით, ქ. თბილისის ატმოსფერო, დაბინძურების ხარისხით შედის მსოფლიოს ყველაზე დაბინძურებულ ქალაქთა ათეულში. ქ. თბილისში ჰაერის დამაბინძურებელ კომპონენტებს შორის მნიშვნელოვანი წვლილი აქვს მტვერს და მასში არსებულ მცირე დისპერსიული ნაწილაკებს ($PM_{10}$ და $PM_{2,5}$), რომლებიც განსაკუთრებით საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ღრმად აღწევს ორგანიზმში, უჯრედის დონეზე ილექება და იწვევს მთელ რიგ პათოლოგიურ ცვლილებებს. მტვრით დაბინძურების შემცირებასთან და პრევენციასთან დაკავშირებული რეკომენდაციებია: 1. მშენებარე ნაგებობების სათანადო შეფუთვა, სამშენებლო მოედნიდან გამომავალი სატრანსპორტო საშუალებების წყლის ჭავლით გარეცხვა, მყარი მასალების დამუშავება სველი წესით, სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისას ძარის შეფუთვა და ა.შ. 2. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილის ინტენსიური გამწვანება, ივრის ზეგნიდან მონაბერი მტვრიანი ქარების პრევენციის მიზნით, რაც დადებითად იმოქმედებს ქალაქის ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებაზე. 3. ქუჩების და ტროტუარების ინტენსიური მორწყვა. 4. შადრევნების სისტემის განვითარება. 5. თბილისის შემოგარენში არსებული ხელოვნურად გაშენებული ლანდშაფტის რეკონსტრუქცია. 6. ტექნიკური წყლის სტანდარტის შემუშავება და ქალაქის ტექნიკური წყლით მომარაგება. 7. ქალაქში ნიადაგის აღდგენის ღონისძიებების გატარება: ქიმიური სასუქების ორგანული სასუქებით და მიწის ბუნებრივი გამანოყიერებლებით ჩანაცვლება (ორგანიკა, ლამი, საპროპელი, ნაკელი, კომპოსტი და სხვა). 8. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის შემცირება, ამ მიზნით, საკუთარი ავტომობილებისათვის კენტ და ლუწ რიცხვებში მოძრაობის რეგულაციების დაწესება, რაც თითქმის 2–ჯერ შეამცირებს ავტომანქანების ნაკადს. 9. ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, განახლება და სატრანსპორტო სქემის ოპტიმიზაცია...

## SUMMARY

According to the UN, The atmosphere of Tbilisi is in the top ten of the world's most polluted cities. In Tbilisi, the presence in the atmosphere, dust and small dispersion particles (PM2.5 and PM10) are especially dangerous for human health, which enter the body at the cellular level and cause a number of pathogenic changes. Recommendations for pollution reduction and pollution prevention: 1. Packaging of construction sites, washing vehicles with water, processing solid materials with a wet method, during transportation packing construction materials, etc. 2. Intensive planting plant in the eastern part of the city in order to prevent dusty winds. 3. Watering the streets and sidewalks. 4. Development of the fountain system. 5. Reconstruction of an artificially constructed landscape in the vicinity of Tbilisi. 6. Development of a technical water standard and provision of the city with technical water. 7. Implementation of measures to restore the soil in the city: the replacement of chemical fertilizers with organic fertilizers and natural stabilizers. 8. Reduction of vehicle emissions, the establishment of regulation rules for this purpose, in even and odd days for own cars, which will reduce the flow of cars by almost 2 times. 9. Improving the technical condition of the fleet, modernization and optimization of the transport scheme.

# დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების სტრატეგიები

**კურტანიძე ანა**
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი,პროფესორი
**ყიფიანი სალომე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,ასისტ.პროფ.
**ოვჩარენკო ანა**
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, მაგისტრანტი.

**საკვანძო სიტყვები**: ავიაკომპანია, კონკურენცია, ლიბერალიზაცია, ოპერაცია, დაბალბიუჯეტიანი, ფასები.

დაბალ ბიუჯეტიანი ავიაკომპანია-დაბალფასიან ოპერაციებს ასრულებს, ანუ ავიაბილეთებზე დაწესებული დაბალი ტარიფების შესაბამისად მგზავრს სთავაზობს ნაკლებად კომფორტულ სერვისებს.

წარმატებული დაბალბიუჯეტიანი კომპანია Pacific Southwest Airlines პირველი იყო, რომელმაც დაბალბიუჯეტიანი რეისი 6 მაისს 1949 წელს შეასრულა. ხოლო პირველი ავიაკომპანია, რომელმაც ტრანსატლანტიკური სერვისები შეღავათიანი ფასებით განახორციელა, იყო ფრედი ლეიკერსის მიერ 1966 წელს დაარსებული laker airways, რომელიც ექსპლუატაციას უწევდა ცნობილ "skyetrain"-ს და ახორციელებდა ფრენებს ლონდონიდან ნიუ-იორკის მიმართულებით

პირველი ევროპული დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია RYANAIR-რი გახლავთ.

იქედან გამომდინარე რომ დაბალბიუჯეტიანი ავიკომპანიების ზრდა საკამაოდ მაღალია მათ უწევთ კონკურენციის გაწევა არამარტო ტრადციულ ავიაკომპანიებთან, არამედ სხვა დაბალბიუჯეტიან კომპანიებს, რაც lou-qosTebs ბიძგს აძლევს მიმართონ სხვადასხვა სტრატეგიებს. დღესდღეობით ცნობილია რამდენიმე სტრატეგია რომელიც განკუთვნილია დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიისათვის.

| საფინანსო სექ-ტორი | 174.4 | 126.6 | 202.0 | 141.1 | 302.6 |
| მშენებლობა | 79.5 | 324.6 | 143.6 | 168.7 | 284.8 |
| ენერგეტიკა | 244.7 | 190.0 | 123.7 | 145.0 | 224.1 |
| უძრავი ქონება | 62.3 | 149.6 | 91.4 | 49.6 | 178.6 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 107.3 | 211.6 | 98.4 | 125.6 | 98.6 |
| სასტუმროები და რესტორნები | -7.1 | 132.8 | 141.4 | 56.1 | 67.8 |
| სამთო მოპოვებითი მრეწველობა | 43.7 | 45.3 | 88.0 | 49.7 | 51.8 |
| სოფლის მეურნეო-ბა, თევზჭერა | 13.0 | 12.3 | 18.6 | 8.4 | 12.4 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალ-ური დახმარება | 0.7 | -8.8 | 140.3 | 29.5 | 7.2 |
| დანარჩენი სექ-ტორები | 160.0 | 200.0 | 30.8 | 156.3 | 171.7 |
| | | | | | |

2017 წელს სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პუი-თ) 57% შეადგინა. ყველაზე მეტი პუი ტრანსპორტსა დაკავშირგაბმულობაში განხორციელდა- 489.2 მლნ აშშ დოლარი, რაც ინვესტიციების საერთო მოცულობის 25.9%-ია, მეორე ადგილზეა საფინანსო სექტორი- 302.6 მლნ აშშ დოლარით, მესამეზე- მშენებლობა 284.8 მლნ აშშ დოლარით, ხოლო დამამუშავებელ მრეწველობაში და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების სექტორში პუი-ს რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, შემცირდა და შეადგინა შესაბამისად 98,6 მლნ აშშ დოლარი და 7.2 აშშ დოლარი (იხ. ცხრილი 2).

დარგობრივი ჭრილით განხილული ინვესტიციები მიუთითებს იმ სფეროების შესახებ, რომელიც დღეს ქვეყანაში განვითარებადია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პუი-ს ძირითადი მოცულობა კონცენტრირებულია სატრანსპორტო სექტორში, რაცთავის მხრივ, მოიცავს საზღვაო, სარკინიგზო, საგზაო-საავტომობილო და საჰაერო სისტემებს, რომლებსაც შესაბამისი დატვირთვა გააჩნიათ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის წარმოჩენაში. საქართველოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის გაძლიერებისთვის გეოეკონომიკურად სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, როცა ორი მსხვილი რეგიონული ნავთობსადენის - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო–სუფსის, და ასევე - სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ბაქო–თბილისი–ერზრუმის (შაჰ-დენიზი) პროექტების განხორციელება გადაწყდა, რისთვისაც საქართველოში შესაბამისად დიდი მოცულობის პუი ჩაიდო. სამივე ობიექტი მნიშვნელოვანია არამარტო საქართველოსსატრანზიტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, არამედ რეგიონული ინტეგრაციის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან.

საქართველოს სატრანზიტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილია. რადგანაც სატრანსპორტო სეგმენტი საქართველოსთვის ერთ-ერთი სტრატეგიული ობიექტია, ამიტომაც პუის დიდი ნაწილი წლების განმავლობაში ბანდდებოდა სატრანსპორტო სექტორში.

პუი რეგიონული ჭრილით, შემდეგნაირადაა წარმოდგენილი (იხ. ცხრილი 3).

საქართველოს რეგიონებში 2017 წელს პუი, 2016 წელთან შედარებით, გაიზარდა (იხ.ცხრილი 3). პუი-ს მნიშვნელოვანიწილი ბოლო 5 წლის მანძილზე ქალაქ თბილისსა და აჭარაზე მოდის. 2017 წელს მთლიანინვესტიციებშითბილისისწილიმაინცმაღალიადა დაახლოებით 78,2%-სშეადგენს. ასევემნიშვნელოვნადგაზრდილიასაინვესტიციომოცულობები: სამცხე-ჯავახეთში,ქვემოქართლში, სამეგრელო, ზემო სვანეთსა და გურიაში და ასევე იმერეთსა, რაჭა ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში. ინვესტიციებისსიმცირითხასიათდება: შიდაქართლის, მცხეთა-მთიანეთისადაკახეთისრეგიონები. როგორც ცხრილიდან ჩანს, თბილისის და აჭარის გარდა რეგიონებ-

ში შედარებით ნაკლებია პუი-ს მოცულობა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რეგიონებში ეკონომიკური ზრდა და განვითარება დაბალია, თუმცა, წინა წელთან შედარებით, სხვა რეგიონებშიც იზრდება უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება ის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2013-2017 წლებში რეგიონების მიხედვით [5]

ცხრილი 3

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|
| სულ | 1020.5 | 1817.7 | 1665.6 | 1565.8 | 1888.8 |
| მათ შორის: | | | | | |
| ქ. თბილისი | 742.22 | 1366796.0 | 1328324.7 | 1335897.4 | 1475683.3 |
| აჭარა | 83.14 | 169240.7 | 206539.8 | 99601.3 | 189769.6 |
| კახეთი | 11.03 | 15796.3 | 16118.6 | 3903.8 | 6179.7 |
| სამცხე-ჯავახეთი | 51.73 | 74258.9 | 31536.1 | 30807.2 | 39002.7 |
| ქვემო ქართლი | 16.31 | 55650.8 | 21159.8 | 28990.7 | 64359.0 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია | 57.23 | 93648.2 | 51209.5 | 35050.1 | 50558.5 |
| იმერეთი, რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 59.12 | 27951.1 | 25701.8 | 28052.2 | 60488.7 |
| შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი | -241.4 | 14347.8 | -15032.7 | 3535.0 | 8449.8 |

რეგიონებში, პატარა ქალაქებსა და მითუმეტეს სოფლებში პუი-ს შედინება ძალიან უმნიშვნელოა. ლიდერი ქალაქი, რომელიცყველაზემეტინვესტიციასიზიდავს, ისევთბილისია. შესაბამისად, რეგიონებშიეკონომიკურიზრდადაგანვითარებადაბალია.

როგორც ცნობილია, საქართველო აქტიურად არის ჩართული ურბანიზაციის პროცესში, მოსახლეობა იძულებული ხდება დატოვოს თავის საცხოვრებელი სოფლები თუ რაიონები და დედაქალაქში თუ არა , ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში გადმოსახლდეს. ეს ხდება იმიტომ, რომ რაიონებში სამუშაო ადგილების და განათლების ნაკლებობაა, ოჯახების რეალური შემოსავალი დაბალია, და ხდება იძულებითი შიდა შრომითი მიგრაცია, რაც, თავის მხრივ, რეგიონული ჭრილით, პუი-ს მოცულობაზეც აისახება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უფრო მეტად უნდა მიაქციოს ყურადღება ამ პრობლემას და შეეცადოს, რომ შეინარჩუნოს სოფლის მოსახლეობა და ხელი შეუწყოს რეგიონების ეკონომიკურ ზრდა-განვითარებას, და ასევე, დააინტერესოს უცხოელი ინვესტორი, რომ მან თავისი კაპიტალი დააბანდოს არამარტო თბილისსა და აჭარაში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. http://www.worldbank.org
2. http://www.economy.ge
3. http://www.heritage.org
4. http://www.mof.ge
5. http://www.geostat.ge


## რეზიუმე


პუი-ს შესწავლა დღესდღეობით აქტუალური საკითხია არამარტო საქართველოში არამედ გლობალურ მასშტაბით. პუი ნიშნავს ახალი საწარმოების დაარსებას, სხვა ქვეყნის მიერ არსებულ საწარმოების შესყიდვას და ერთობლივი საწარმოების შექმნას. რადგანაც პუი გრძელვადიანი ინვესტიციაა, ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, რაც,თავის მხრივ,გულისხმობს მიმღებ ქვეყანაშიპროდუქციისწარმოების, მოხმარებისა და კეთილდღეობის ამაღლებას.მეცნიერთა აზრით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიხელს უწყობს ყველა გარდამავალი ქვეყნის ეკონომიკურ და რეგიონალურგანვითარებას.

## SUMMARY

## REGIONAL PECULIARITIES OF FOREIGN DIRECT INVESTMENTS

**Sofiko Dzhvarsheishvili**
**Scientific –researcher at the**
**Vakhushti Bagrationi Institute of Geography**

Issue of foreign direct investments is quite actual nowadays and is under attention of international economical theory as it is well discussed in foreign economical literature. Foreign direct investments means organization of new enterprise, purchasing of existing enterprise and creating of joint enterprise in nonresident country. As foreign direct investment is long-term investment it significantly affects on economic growth, which means long-term growth tendency of production, consumption and welfare. From scientists' point of view, foreign direct investments support economic growth of all transitional country. Macroeconomic factor plays important role in attraction of foreign direct investments, namely, volume of domestic market, stability of currency and politics, development of infrastructure and qualified human resources; also investment politics of country receiver is also very important as it provides effective guarantee of legal systems and stabile functionality.

Regional foreign direct investment of Georgia in 2017 incompare with 2016 has increased. Significant amount foreign direct investment in the last five years comes to Tbilisi and Adjara. The share of Tbilisi in total investment in 2017 is still high and approximately is about 78.2%. Amounts of investment have also been increased in regions: Samtskhe-Javakheti, Kvemo Kartli, Samegrelo, Zemo Svaneti and Guria as well as Imereti, Racha Lechkhumi and Kvemo Svaneti. By the small amount of investment characterized the following regions: Shida Kartli, Mtskheta-Mtianeti and Kakheti.

As we already mentioned with the exception of Tbilisi and Adjara, amount of FDI in other regions are relatively low,this indicated that regional economic growth and development in Georgia are also low, but compared with the previous yearregional FDI are growing, slightly but still rising.

As it is known, Georgia is actively involved in the process of urbanization, population is forced to leave their residential villages or districts and try to move in Tbilisi, Batumi, Poti or Kutaisi. This happened because in regions concentrated very small amount of jobs and is lack of education, the real income of families is low, which is lead to internal labor migration and all of this reflected on amount of inflow of regional foreign direct investment.

Therefore, the State should pay more attention to this problem and try to maintain the rural population and promote economic growth and development of the regions, and also attract foreign investors to invest much more investmentsnot only in Tbilisi and Adjara but in other regions of Georgia as well

# სპორტის ინდუსტრიის როლი თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში

**ვაჟა დანელია**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

**საკვანძო სიტყვები:** გლობალური ბიზნესი, სასპორტო მენეჯმენტი, ფინანსები და სპორტი, სპორტის ეკონომიკა, სასპორტო შეჯიბრების ეკონომიკა

**1.შესავალი**

საზოგადოების განვითარებასთან ერთად ფიზიკური აქტივობა და სპორტი სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ადამიანთა ყოფის ყველა სფეროში. ამიტომაც ის მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი გახდა. გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება მაღალი მიღწევების სპორტი. ის თანდათანობით სასპორტო და მასობრივ-სანახაობრივი ღონისძიებების ინდუსტრიად ჩამოყალიბდა, რაც ინტენსიურად ზემოქმედებს სახელმწიფოს და საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკურ სფეროზე.

თანამედროვე სპორტი კულტურათაშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. ის არც თუ უსაფუძვლოდ აღიქმება, როგორც მსოფლიო და ეროვნულ კულტურათა ნაწილი, რადგან მას განეკუთვნება ტექნოლოგიური პროგრესის უახლოეს მიღწევათა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა გამოყენებით თანამედროვე გართობა და ტრადიციული თამაშები, რომლებიც ეროვნულ წეს-ჩვეულებებთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, სპორტის კიდევ ერთი მხარე იკვეთება - როგორც მსოფლიოს ხალხების კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და ეთნოკულტურული თვითიდენტიფიკაციის ფორმა. სპორტი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

„თანამედროვე მსოფლიოში სპორტი და სპორტის ინდუსტრია გლობალური მოვლენაა, - ნათქვამია „2014-2020 წლების სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში“, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერაა შემუშავებული. - სპორტს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში. სპორტი გავლენას ახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე, ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებასა და ქცევაზე, საფინანსო-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე. სახელმწიფო ვალდებულია... ხელი შეუწყოს სპორტის, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტის, სწორ ინსტიტუციურ საწყისებზე დაფუძნებასა და სპორტის ინდუსტრიის პოზიტიურ გავლენას საფინანსო-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე“.

ბოლო დროს ბევრ ქვეყანაში სპორტი ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი გახდა. მუდმივად იხვეწება და მუშავდება სპორტის მართვისა და დაფინანსების ახალი მოდელები. არადა, დიდი ხნის განმავლობაში, თვით დასავლეთშიც, სპორტი და ეკონომიკა განიხილებოდა როგორც ორი დამოუკიდებელი სფერო. მიიჩნევდნენ, რომ სპორტი ეს არის ჰობი, დასვენება, გართობა, დროსტარება და ეკონომიკასთან, პროფესიასთან, ვაჭრობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. მოგვიანებით ჩამოყალიბებული მოყვარული სპორტსმენის სტატუსის მქონეს სასპორტო შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის ფულის ან პრიზის მიღებას ეკრძალებოდა.

ძველ საბერძნეთში ანტიკური ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულებს ზეთისხილის რტოებითა და დაფნის გვირგვინით ამკობდნენ. ეს იყო უმაღლესი ეროვნული ჯილდო.

„ისტორიის მამად“ ცნობილი ჰეროდოტე ჰალიკარნასელი გვამცნობს, რომ ჩვენს ერამდე 480 წელს ელადას თავს დაესხა სპარსეთი. ამ დროს ოლიმპიაში თამაშები მიმდინარეობდა, რომელიც არ შეუწყვეტიათ. სპარსთა მეფემ მათ მხარეს გადასული ბერძნებისგან რომ შეიტყო, ელინელები ოლიმპიურ ზეიმს იხდიანო, მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. უფრო მეტად იმან გააოცა, რომ ბერძნები უბრალო ზეთისხილის გვირგვინისთვის იბრძოდნენ და არა - ფულისთვის.

დაბეჯითებით შეუძლებელია ამის მტკიცება, მაგრამ ამ ფაქტიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანტიკური ხანის ქვეყნებში გარკვეულწილად, ალბათ, ჰქონდათ გააზრებული სპორტისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი. მე-19 საუკუნის მიწურულს კი თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღდგენის სულისჩამდგმელი ბარონი პიერ დე კუბერტენი „სპორტის კეთილშობილური და სარაინდო თვისებებით“ ოლიმპიზმის იდეის ჩამოყალიბებისას სოციალურ გამიჯვნასაც ითვალისწინებს.

**II ნაწილი**

სპორტის ავტონომია, რომელმაც დიდხანს იარსება, დროთა განმავლობაში დამოუკიდებელი სასპორტო კავშირების შექმნით შემცირდა, სპორტის კომერციალიზაციისა და პროფესიონალიზაციის პროცესი დაჩქარდა. დღეს ფიზიკური კულტურა და სპორტი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. სპორტის ინდუსტრია ეკონომიკის სრულფასოვანი დარგი გახდა. მის შესასწავლად მე-20 ასუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა ახალი დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა - სპორტის ეკონომიკა.

ამ დარგში პირველ ნაშრომად მიაჩნიათ ამერიკელი ს. როზენბერგის სტატია - „ბეისბოლის პროფესიონალი მოთამაშეებისთვის შრომის ბაზარი", რომელიც 1956 წელს ერთ-ერთ მოწინავე ამერიკულ ეკონომიკურ ჟურნალში გამოქვეყნდა. ავტორი მასში სამ მომენტს გამოყოფს:

1.პროფესიულ გუნდურ სპორტში ქომაგისთვის ბევრად უფრო საინტერესოა შეჯიბრების შედეგის ერთგვარი გაურკვევლობა. და რაც მეტხანს იქნება ანგარიში ბურუსით მოცული, მაყურებლისთვის მით უფრო იზრდება მისი მიმზიდველობა.

2.შედეგის გაურკვევლობა უფრო მეტად შენარჩუნდება მაშინ, როცა კლუბებს შემადგენლობაში ეყოლებათ ერთნაირი სათამაშო ძალის სპორტსმენები, რომლებიც თანაბრად იქნებიან განაწილებული ყველა გუნდში.

3.სათამაშო ღირებულებათა ეს ერთობლიობა ავტომატურად შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც შრომის დაურეგულირებელი ბაზარი. თანადროულად აქ მოქმედებს ზარალიანობის კანონიც: თითოეული გუნდისთვის არარენტაბელურია გარკვეულ მომენტში ახალი მოთამაშეების შეძენა, რადგან საეჭვოა, მათ სტადიონზე მაყურებელთა დამატებითი რაოდენობა მიიზიდონ და ამით გუნდში თავიანთი ყოფნა გაამართლონ...

როზენბერგმა ამ თეზისებით, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა დღეს უკვე ასე განვითარებულ მეცნიერებას - სპორტის ეკონომიკას.

გერმანიაში ამ საკითხებს მხოლოდ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მიექცა ყურადღება: გამოჩნდნენ ეკონომისტები, რომლებიც სპორტის პრობლემებით დაინტერესდნენ. პირველი პუბლიკაცია სპორტის ეკონომიკაზე 1965 წელს დაიბეჭდა - მ. მენცლერმა და რ. სტეგლინმა მასში ფეხბურთის ეკონომიკის საკითხები განიხილეს. შემდგომ გამოკვლევაში მ. გერტნერმა და ვ. პომერენსმა წარმოადგენეს იმ ფაქტორების ფართო მოდელი, რომელიც ბუდესლიგის საფეხბურთო მატჩების დასწრებაზე ახდენდა ზეგავლენას. აღსანიშნავია ის ნაშრომებიც, რომლებიც პროფესიულ სპორტში ტრანსფერების რიცხვის ეკონომიკური ასპექტების შესწავლას უკავშირდება.1987 წელს გამოვიდა კ. ჰაინემანის პირველი სახელმძღვანელო სასპორტო წარმოების ეკონომიკაზე. კ. დიტრიხმა, კ.ჰაინემანმა და მ. შუბერტმა სპორტის პროფესიონალიზაციაზე გაამახვილეს ყურადღება. დღეს გერმანია წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც სპორტის ეკონომიკისა და სასპორტო მენეჯმენტის პრობლემების გადაჭრას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ესპანეთში სპორტსა და ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე ამ დარგის სპეციალისტები სულაც გასული საუკუნის მიწურულს დაინტერესდნენ. აქ შეიძლება დავასახელოთ ფ. ბრუნეტის, მ. დელ კოსტალოს, ხ. ალონსოს გამოკვლევები, რომლებიც ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებს, ასევე, სხვადასხვა სასპორტო სკოლისა და უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობას ეხება. საქართველოში ეკონომიკის განვითარებაში სპორტის ინდუსტრიის როლის შესახებ სამეცნიერო შრომები, სამწუხაროდ, ნაკლებადაა. ასე ვთქვათ, ყამირია, რაც ბიზნესმენებისგან სპორტში ინვესტიციების ჩადებას ამუხრუჭებს.

აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების სფეროს წამყვანი ფირმების დასკვნებით დასტურდება სპორტის ინდუსტრიის მაღალი როლი თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში. საამისოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ: 2010 წელს მსოფლიო სპორტის ინდუსტრიის შემოსავალმა 121.4 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. განსაკუთრებით მომგებიანი აღმოჩნდა სამხრეთ აფრიკაში გამართული საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატი.

მომდევნო ხუთ წელიწადში მსოფლიოს სპორტის ინდუსტრიის შემოსავალი 3.7 %-ით გაიზარდა და საერთო თანხამ 145.3 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. სპეციალისტები ეფექტიანობის ზრდის რამდენიმე სეგმენტზე ამახვილებენ ყურადღებას, მათგან კი განსაკუთრებით სამია მნიშვნელოვანი.

| | 2010 | 2015 |
|---|---|---|
| ბილეთების გაყიდვა | 39.570.000 $ | 44.746.000 $, |
| ტელეტრანსლაციის გაყიდვა | 29.225.000 $ | 35.247.000 $ |
| სპონსორობა | 34.942.000 $ | 45.381.000 $. |

საინტერესო სურათს იძლევა ევროპული კლუბების შემოსავლების ზრდა (ამერიკულ დოლარებში) ოთხი სეგმენტის მიხედვით:

| | ბილეთ. გაყიდვა | სპონსორობა | ტელეგადაცემა | საერთო შემოსავ. |
|---|---|---|---|---|
| 2006 წ | 2.059.0000 | 2.448.0000 | 2.828.0000 | 9.032.0000 |
| 2010წ | 2.608.000 | 3.179.0000 | 4.416.0000 | 12.797.000 |

ფეხბურთში ყველაზე პრესტიჟული ტურნირის - ჩემპიონთა ლიგის ბიუჯეტმა შარშან 1.31 მილიარდი ევრო შეადგინა. ფრანგული გამოცემა „ფრანს ფუტბოლის“ გამოკვლევით, 2010-2011 წლების სეზონში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე იყო ლიონელ მესი - მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. „ბარსელონას“ ლიდერმა ამ სეზონში 33 მილიონი ევრო გამოიმუშავა. აქედან 21 მილიონი ევრო სარეკლამო კონტრაქტებიდან, 10.5 მილიონი ევრო კატალონიურ კლუბთან პირადი კონტრაქტით, ხოლო 1.5 მილიონი ევრო, როგორც ბონუსი, საუკეთესო თამაშისთვის მიიღო. შარშან კი მესის წლიური ანაზღაურება 53 მილიონ ევრომდე გაიზარდა. ცხადია, ერთ სპორტსმენზე ამდენი თანხის დახარჯვა წარმოუდგენელია, რომ ის სპონსორ-ინვესტორისთვის სარფიანი არ იყოს.

უნდა ითქვას, რომ კლუბებს შემოსავლებთან ერთად გასავალიც დიდი აქვთ, რაც, უმთავრესად, მოთამაშეთა ტრანსფერებს ხმარდება. 2011 წელს, მაგალითად, ამგვარმა დანახარჯმა 3 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. თუმცა აქედან ხეირი ნახეს აგენტებმა - 130 მილიონი დოლარი, ანუ თითოეულ გარიგებაზე 240.000 დოლარი მიიღეს.

ზემოთ შეჯიბრებათა ტრანსლირებისთვის გაღებული კოლოსალური სახსრები ვახსენეთ. არც ეს არის შემთხვევითი: სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის პაექრობათა ჩვენების ექსკლუზიური უფლების მისაღებად რუსეთის სამმა ტელეარხმა 1.6 მილიარდი რუბლი გადაიხადა. ორკვირა-ნახევრის განმავლობაში კი რეკლამებიდან მათ სარეკორდო თანხა - 2 მილიარდი რუბლი მიიღეს. ამიტომაცაა გასავლის ზრდა ინვესტორებს არ აშინებთ, რადგან სპორტში ფულის დაბანდება დიდ მოგებას იძლევა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სპორტში ჩადებული თანხები, მათ შორის - ძალიან პოპულარულ სახეობებში, ზოგჯერ მოგებას რამდენიმე წლის შემდეგ იძლევა. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ინგლისური საფეხბურთო კლუბ „არსენალის“ ერთ-ერთი მფლობელის - ალიშერ უსმანოვის მოსაზრება: „არსენალი“ - ეს თანამედროვე ბიზნესია, რომელიც თავს უყრის დაახლოებით 200 მილიონი დოლარის შემოსავალს. ეს არის კლუბი, რომელიც დღეს მილიარდ დოლარზე მეტი ღირს. ჩვენ მის შესაძენად ნახევარი მილიარდი გადავიხადეთ. კმაყოფილი ვარ ჩემი ინვესტიციებით და ნებისმიერ შემთხვევაში მას გავზრდი. მიმაჩნია, რომ ამ კლუბის ინფრასტრუქტურა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა“.

კერძო აქციონერთა გარდა, სპორტისადმი სახელმწიფოს ინტერესიც სულ უფრო შესამჩნევი ხდება, რადგან ეს ქვეყანაში სპორტის განვითარებასთან ერთად ეკონომიკის სტიმულირებასაც უწყობს ხელს. გამოკვლევებით დასტურდება, რომ 2014 წელს ბრაზილიაში ჩატარებული მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციის ზრდის მძლავრი იმპულსი გახდა.

გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ ბრაზილიის ეკონომიკამ 2010-2014 წლებში დამატებით მიიღო 142.4 მილიარდი ბრაზილიური რეალი. ამ ჩემპიონატისთვის აშენდა ახალი ობიექტები, ოთხ მილიონამდე ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, მოსახლეობის საერთო შემოსავალი 64 მილიარდ რეალამდე გაიზარდა.

ბრაზილიამ ინფრასტრუქტურის გასავითარებლად 15 მილიარდი რეალი დახარჯა, აქედან - 4.6 მილიარდი სტადიონებისა და 1.4 მილიარდი გზების მოწყობისთვის. 2014 წელს ამ ქვეყანაში დაახლოებით 8 მილიონი ტურისტი ჩავიდა, რომლებმაც 6 მილიარდ რეალზე მეტი დახარჯეს და ეს თანხა, ცხადია, მთლიანად ბრაზილიის ეკონომიკაში ჩაბრუნდა.

ყურადღებას უეფას მიერ შედგენილ ერთ ანალიტიკურ ანგარიშზეც გავამახვილებთ: „ევროპის ფეხბურთის ლანდშაფტი“ - ასე ჰქვია 2010 წლისთვის საფეხბურთო კლუბების 665 აუდიტორული საფინანსო ანგარიშების დეტალურ ანალიზს, რომლის თანახმადაც 2010 წელს საფეხბურთო კლუბების შემოსავალი 6% გაიზარდა და სარეკორდო მაჩვენებელს - 12.8 მილიარდ ევროს გადაჭარბა. 2006-2010 წლებში კი ერთობლივი შემოსავლების ზრდამ 42 პროცენტი შეადგინა, როდესაც ამ პერიოდში ევროპული ქვეყნების ეკონომიკა მხოლოდ ერთი პროცენტით გაიზარდა.

ცხადია, მშრალი ფაქტებით სპორტის სექტორის ეფექტიანობაზე დასკვნების გაკეთება, მით უმეტეს, თუ ეს დიდ შეჯიბრებებს ეხება, იოლი არ არის. საამისოდ, შესაძლოა, წლებიც გახდეს საჭირო, რადგან ბევრი მაჩ-

ვენებელი ცალკეულად კი არა, ერთობლიობაში უნდა განვიხილოთ.

სპორტის ინდუსტრიის განვითარების მხრივ დღეს რა მდგომარეობაა საქართველოში და რა როლს ასრულებს ის ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში, ამის შესახებ სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა ძალიან მწირია. თუმცა ჩვენ მიერ მოძიებული მონაცემებით კი ირკვევა, რომ სპორტის ინდუსტრია აქაც იზრდება. ამის დასტურია თუნდაც 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისა და 2018 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობა თბილისსა და ბათუმში, ასევე, სხვადასხვა სახის შეჯიბრების გამართვა საქართველოში, მათ შორის - 18-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატისა, რომლის ჩასატარებლად წლეულს სახელმწიფომ 500.000 ლარი გამოყო. ტურნირის განმავლობაში დასაქმდა 89 ადამიანი, ამასთანავე, ევროპის ხელბურთის ფედერაციის (-ის) ოფიციალური პირების მგზავრობა, დაბინავება და კვება, ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ტრანსპორტირება, სპორტის სასახლის დაქირავება, ინვენტარის შეძიანა-დაგება, პირველობის ატრიბუტიკა (მედლები, თასები), ჩემპიონატის გადაღება, შეჯიბრების შტაბის თანამშრომელთა, ასევე, ანტიდოპინგური სამსახურის ანაზღაურება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სასმელი წყლითა და VI კვებით მომარაგება, შეჯიბრების საზეიმო გახსნა-დახურვის ცერემონიალი და სხვა ორგანიზატორებს 534.871 ლარი დაუჯდათ, საიდანაც უცხოეთში თეთრიც არ გასულა - მთელი ეს ფული ქვეყნის ეკონომიკაში ჩაბრუნდა.

თბილისში გამართულ პირველობაზე ათი ქვეყნის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. მათ საქომაგოდ 200-მდე ტურისტი ჩამოჰყვა. როგორც ოფიციალური პირები, ისე ნაკრები გუნდების წევრები და ტურისტები 12 დღის განმავლობაში დაბინავებული იყვნენ სასტუმროებში. საცხოვრებელსა და კვებაში მათ ერთობლივად 562.780 ლარი დახარჯეს, ანუ ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას გადაამეტა. საბოლოოდ კი საქართველოს ეკონომიკამ ამ ერთი პატარა ტურნირიდან სულ მცირე, 1.062.780 ლარზე მეტი მიიღო.

საგულისხმოა ისიც, ჩემპიონატის ჩატარებამ დიდი როლი ითამაშა ჩვენთან ხელბურთის პროპაგანდა-პოპულარიზაციაში. სწორედ ტურნირის შემდეგ სპორტის ამ სახეობის კერები აღდგა ტყიბულში, ხელვაჩაურში, სენაკში, გურჯაანსა და ზესტაფონში, ხოლო საქართველოს 2018-2019 წლების ჩემპიონატებში მონაწილე გოგონათა და ვაჟთა გუნდების რაოდენობამ 65-ს მიაღწია.

**დასკვნა**

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოში სპორტის ინდუსტრია ნელი ნაბიჯებით, მაგრამ მაინც ვითარდება, თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ, თუ პროფესიულ სპორტში მდგომარეობა ყოველწლიურად უმჯობესდება, მოსახლეობის ფართო ფენების ფიზიკური კულტურის განვითარებაზე ნაკლებად ზრუნავენ. განსაკუთრებით სოფლებსა და პატარა ქალაქებში სასპორტო ობიექტების, ინვენტარის, სპეციალისტების, დაფინანსების ნაკლებობაა. ყველაფერი ეს კი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს.

სპორტი უფრო მეტია, ვიდრე ყურადღების ცენტრში მყოფი მოვლენები გამარჯვებებით, რეკორდებითა და მედლებით; სპორტი ეს არის ეკონომიკის ნაწილი, ამიტომ მის პროფესიულ, კომერციულ თუ სხვა სფეროში ხელძღვანელობა შესაბამის სპეციალისტებს, მეთოდებსა და ფორმებს მოითხოვს.

ახლო მომავალში სპორტი ქართული ბიზნესისთვისაც საინტერესო გახდება არა მარტო იმიჯის ასამაღლებლად, არამედ - როგორც მნიშვნელოვანი შემოსავლების წყარო. საამისოდ აუცილებელი იქნება საერთაშორისო ტურნირების გამართვა. შეჯიბრებებიდან სახელმწიფომ, შესაძლოა, ყოველთვის მოგება ვერ მიიღოს, მაგრამ უარი არ უნდა ვთქვათ მათ მასპინძლობაზე, რადგან თანხებთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ სასპორტო ღონისძიებებისგან მიღებული სოციალური ეფექტები: ეროვნული სიამაყის გრძნობა; სპორტში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, ქვეყანაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება; უცხოელ ტურისტთა რაოდენობის ზრდა; ასევე, სოციალური სარგებელი, ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებით.

სპორტში დაბანდებული ფული წამგებიანი არასდროს იქნება, რადგან, დიდ სპორტში მიღწეულ წარმატებებთან ერთად. უპირველესად, ეს არის ქუჩას, ნარკომანიას, ალკოჰოლსა და სიგარეტს მოწყვეტილი ათასობით ახალგაზრდობა, ჯანსალი თაობის აღზრდა. ამ სიკეთეზე კი უარი არასდროს უნდა ვთქვათ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1.სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020 წ.წ. (შემუშავებული საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 22 მაისის 127 დადგენილებით),
2. ჰეროდოტე, ისტორიები, 2006,
3. ავთანდილ გურასაშვილი, ოლიმპია, ღმერთები და ნახევრადღმერთები, 2003,
4. ვაჟა დანელია, ათენის ათინათი, 2018,
5. С. Розенберг, «Рынок труда профессиональных игроков в бейсбол», 1956.
6. Галкин В.В. Экономика спорта и спортивный бизнес, 2005,
7.. Европейские стадионы – 2011. Перспективы строительства и эксплуатации футбольных стадионов в Европе. Исследование KPMG, март 2012,
8. Ландшафт европейского футбола. Исследование УЕФА, февраль 2012,
9. Меняем правила игры. Перспективы развития мировой индустрии спорта до 2015 года. Исследование. PricewaterhausCoopers (PwC), декабрь 2011,
10. Слободянюк, Н.В. Вопросы финансирования индустрии спорта в России
11. Устойчивое развитие. Бразилия после чемпионата мира по футболу в 2014 г. Исследование Ernst&Young. апрель 2012.

## რეზიუმე

სპორტი, როგორც 21-ე საუკუნის სოციალური მოვლენა, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად იქცა. დღევანდელი სპორტი ეს არის გლობალური ბიზნესი, ანუ თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის მოდელი. ამიტომაც სპორტს ხალხთაშორისი დიალოგის, გამაერთიანებლი და მარეგულირებელი ფუნქცია აკისრია. დღეს სპორტი ყველაფერია: ვარჯიშიც, გართობაც, სანახაობაც, ბიზნესიცა და პოლიტიკაც. ნაშრომში, რომელიც ამ მიმართულებით კვლევის მცდელობაა, მიმოხილულია სპორტის ინდუსტრიის ის დიდი როლი, რომელიც მას მსოფლიოს ეკონომიკის განვითარებაში აკისრია.

## SUMMARY

## THE ROLE OF THE SPORTS INDUSTRY IN THE DEVELOPMENT OF MODERN ECONOMY

**Vaja Danelia, PhD student**
**Georgian Technical University**

Physical culture and sport capture an increasingly important place in the developed economies, becoming an integral part of all areas of human beings and plays an important role in developing business. Sports industry became a full-fledged economy. In the second half of the 20th century, a new independent scientific discipline - Sports Economics was established. This work is an attempt to research in this direction.

# სამრეწველო ბიზნესშიპროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებები


**ა. კურტანიძე**
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პროფესორი
**ნინო დარსაველიძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასოც პროფ.
**ლია ყიფიანი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასოც. პროფ.


პროექტი არის დროებითი ძალისხმევა, რომელიც ხორციელდება უნიკალური პროდუქტის, სერვისის ან შედეგის შესაქმნელად. პროექტის მენეჯმენტი არის ცოდნის, უნარის, საშუალების და ტექნიკის გამოყენება პროექტის

ფარგლებში, რათა მოხდეს პროექტის მოთხოვნათა შესრულება. პროექტის მენეჯმენტი ხორციელდება 47 ლოგიკურ ჯგუფად დაკავშირებული პროექტის მენეჯმენტის პროცესის ინტეგრაციით და მართებული გამოყენებით, რაც დაყოფილია ხუთ პროცესიალურ ჯგუფად. ესენია:

- ინიციატივა;
- დაგეგმვა;
- შესრულება;
- მონიტორინგი და კონტროლი;
- დასრულება;

პროექტის მენეჯმენტი, როგორც წესი, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- მოთხოვნების იდენტიფიცირება;
- დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა საჭიროებების, მოლოდინის და საზრუნავის მოგვარება პროექტის დაგეგმვისა და შესრულებისას;
- დაინტერესებულ მხარეთა შორის ისეთი კომუნიკაციის დამყარება, შენარჩუნება და განხორციელება,რომელიც აქტიური, ეფექტური და კოლაბორაციული იქნება თავისი ბუნებით;
- დაინტერესებულ მხარეთა მენეჯმენტი პროექტის მოთხოვნების შესასრულებლად და საბოლოო შედეგის მისაღებად;
- პროექტის კონკურენტული შეზღუდვების ბალანსირება, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:
- მასშტაბი;
- ხარისხი;
- განრიგი;
- ბიუჯეტი;
- რესურსები;
- რისკები

პროექტის კონკრეტულ მახასიათებლებს და გარემოებებს შეუძლიათ გავლენა იქონიოს შეზღუდვებზე, რომლებზედაც პროექტის მენეჯმენტის ჯგუფმა უნდა გაამახვილოს ყურადღება. ურთიერთკავშირი ამ ფაქტორებს შორის იმგვარია, რომ მაშინ, როდესაც ერთი ამ ფაქტორთაგანი იცვლება, ამას, როგორც მინიმუმ, ერთ სხვა ფაქტორზე ექნება გავლენა. მაგალითად, თუკი პროექტის შესრულების ვადები შემცირდა, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება ბიუჯეტის გაზრდა, რათა დამატებული იქნას სხვა რესურსები იმავე რაოდენობის სამუშაოს მცირე დროში შესრულების მიზნით. თუკი ბიუჯეტის გაზრდა ვერ ხერხდება, მაშინ მასშტაბი ან მიზნობრივი ხარისხი შეიძლება შემცირდეს, რათა განახორციელოს პროექტის საბოლოო შედეგი ნაკლებ დროში იმავე ბიუჯეტით. პროექტით დაინტერესებულ მხარეებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული იდეები იმის თაობაზე, თუ რომელი ფაქტორია ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კიდევ უფრო დიდ გამოწვევას ქმნის. პროექტის მოთხოვნების და მიზნების შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი რისკები. პროექტის ჯგუფმა უნდა შეძლოს სიტუაციის შეფასება, მოთხოვნების დაბალანსება და დაინტერესებულ მხარეთა აქტიური კომუნიკაციის განხორციელება, რათა შექმნან წარმატებული პროექტი.

პროგრამის მენეჯმენტი განისაზღვრება როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული პროექტების, ქვეპროგრამების და პროგრამების ჯგუფის აქტივობები, რომლებიც ხორციელდება კოორდინირებული გზით იმ სარგებლის მისაღწევად, რომელიც ვერ იქნება ხელმისაწვდომი ინდივიდუალური ძალისხმევით. პროგრამები შეიძლება მოიცავდეს დაკავშირებული სამუშაოს ელემენტებს, რომლებიც პროგრამაში მოცემული პროექტის ფარგლებს გარეთ მოიაზრება. პროექტი შეიძლება იყოს ან არ იყოს პროგრამის ნაწილი, მაგრამ პროგრამას ყოველთვის ექნება

პროექტები.

პროგრამის მენეჯმენტი არის ცოდნის, უნარის, საშუალების და ტექნიკის გამოყენება პროგრამაში იმ მიზნით, რათა მიღწეული იყოს პროგრამის მოთხოვნები, მიღებული იყოს სარგებელი და კონტროლი, თუ ისინი არ არის ხელმისაწვდომი პროექტების ინდივიდუალური მართვისას. პროგრამაში მოცემული პროექტები დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო შედეგით ან

კოლექტიური შესაძლებლობით. თუკი პროექტებს ერთმანეთთან აკავშირებს მხოლოდ საერთო კლიენტი, გამყიდველი, ტექნოლოგია ან რესურსი, ძალისხმევა უნდა განხორციელდეს როგორც პროექტების პორტფოლიო და არა როგორც პროგრამა.

პროგრამის მენეჯმენტი ყურადღებას ამახვილებს პროექტთა ურთიერთდამოკიდებულებაზე და დახმარებას გასწევს ოპტიმალური მიდგომის მოსაძებნად მათი მართვის მიზნით. მოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ურთიერთდამოკიდებულებასთან, მოიცავენ შემდეგს:

• რესურსის შეზღუდვის და/ან კონფლიქტების მოგვარება, რომლებიც გავლენას ახდენენ პროგრამაში მრავალ პროექტზე;

• ორგანიზაციულ/სტრუქტურული მიმართულებების დადგენა, რომლებიც გავლენას ახდენს პროექტის და პროგრამის მიზნებზე;

• საკითხთა მოგვარება და მენეჯმენტის ცვლილება საერთო მმართველობის სტრუქტურის ფარგლებში.

პროგრამის მაგალითს წარმოადგენს ახალ საკომუნიკაციო სატელიტური სისტემა პროექტებში სატელიტებისა და მიწისზედა სადგურების დიზაინისათვის, თითოეული მათგანის მშენებლობის, სისტემის ინტეგრირებისა და თანამგზავრის გაშვებისათვის.

თითოეული საწარმოსათვის ბიზნესღირებულება არის კონცეფცია.ბიზნესღირებულება განისაზღვრება როგორც ბიზნესის ერთიანი ღირებულება; ყველა მატერიალური და არამატერიალური ელემენტის საერთო ჯამი ფულად ერთეულებში. მატერიალური ელემენტების მაგალითები მოიცავს ფულად სახსრებს , დანადგარებს , აქციონერების სახსრებს და სარგებელს. არამატერიალური ელემენტების მაგალითი მოიცავს : კეთილ ნებას , ბრენდის აღიარებას , საჯარო სარგებელს და სასაქონლო ნიშანს. საწრმოს მიხედვით ბიზნესღირებულება შეიძლება იყოს მოკლე , საშუალო ან გრძელვადიანი. ღირებულება შეიძლება შეიქმნას მიმდინარე ოპერაციების ეფექტური მენეჯმენტის საშუალებით. თუმცა პორტფოლიოს, პროგრამის და პროექტის მენეჯმენტის ეფექტური გამოყენებით ორგანიზაცია გამოიმუშავებს უნარს , დაასაქმოს სანდო პერსონალი ,დაამკვიდროს პროცესები ,რათა მიაღწიოს სტრატეგიულ მიზნებს და მიიღოს უფრო დიდი ბიზნესღირებულება თავაინთი პროექტინვესტიციებისაგან. იმ დროს ,როდესაც ყველა ორგანიზაცია არ არის ბიზნესით მართული ,ისინი ასრულებს ბიზნესთან დაკავშირებულ აქტივობებს. მიუხედავად იმისა ,ორგანიზაცია წარმოადგენს სამთავრობო სააგენტოს თუ არაკომერციულ ორგანიზაციას ,ყვე- ლა მათგანი ამახვილებს ყურადღებას ბიზნესღირებულების მიღწევაზე თავიანთი საქმიანობისათვის. წარმატებული ბიზნესღირებულების რეალიზაცია იწყება ყოვლისმომცველი სტრატეგიული დაგეგმარებით და მენეჯმენტით.

საწრმოს სტრატეგია შეიძლება გამოიხატოს ორგანიზაციის მისიით და ხედვით და მოიცავს ბაზრის ორიენტაციას ,შეჯიბრებას და სხვა გარემო ფაქტორებს. ეფექტური ორგანიზაციული სტრატეგია იძლევა განსაზღვრულ მიმართულებებს ზრდისა და განვითარებისათვის ,გარდა ამისა ხელს უწყობს წარმატების მიღწევას. ორგანიზაციულ სტრატეგიასა და წარმატებულ ბიზნესღირებულებას შორის არსებული სხვაობის გადასალახავად აუცილებელია პორტფოლიოს , პროგრამის და პროექტის მენეჯმენტის ტექნიკის გამოყენება. პორტფოლიოს მენეჯმენტი პორტფოლიოებსა და ქვეპორტფოლიოებში ორგანიზაციულ სტრატეგიას უთანხმებს შემდეგ კომპონენტებს : პროექტებს , პროგრამებს ან ოპერაციებს, რათა გათვალისწინებული იქნას პროექტის ან პროგრამის მიზნები, დამოკიდებულებები , ხარჯები , ვადები , სარგებელი , რესურსები და რისკები. ეს საშუალებას აძლევს საწარმოებს იქონიონ საერთო ხედვა იმაზე, თუ როგორ აისახება სტრატეგიული მიზნები პორტფოლიოებში , ინსტიტუტების შესაბამის მმართველობის მენეჯმენტში და გადაანაწილონ ადამიანური , ფინანსური ან მატერიალური რესურსები მოსალოდნელ შესრულებასა და სარგებელზე დაყრდნობით. პროგრამის მენეჯმენტის გამოყენებით ორგანიზაციებს გააჩნიათ უნარი, გააერთიანონ მრავალი პროექტი ,რათა ხელი შეუწყოს ერთიანი საფასურის, განრიგის, ძალისხმევის და სარგებლის ოპტიმიზაციის პროცესს. პროგრამის მენეჯმენტი ყურადღებას ამახვილებს პროექტის ურთიერთდამოკიდებულებებზე და ხელს უწყობს ოპტიმალური მიდგომის განსაზღვრას აღწერილი სარგებლის

რეალიზაციასა და მენეჯმენტს. პროექტის მენეჯმენტით , ორგანიზაციებს უჩნდებათ უნარი გამოიყენონ ცოდნა, ტექნიკა და პროცესები, რაც ზრდის წარმატების ალბათობას პროექტთა მრავალ სახეობაში. პროექტის მენეჯერები ყურადღებას ამახვილებენ პროდუქციის , სერვისის ან შედეგის წარმატებულ მიღებაზე. პროგრამებთან და პორტფოლიოებთან ერთად პროექტები არის ორგანიზაციული სტრატეგიისა და მიზნების მიღწევის საშუალება. ორგანიზაციებს შეუძლიათ გააგრძელონ პორტფოლიოს, პროგრამის და პროექტის მენე- ჯმენტის აქტივობების გაერთიანება ორგანიზაციული ძალისხმევის გაძლიერებით , როგორიცაა სტრუქტურული, კულტურული , ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსების პრაქტიკა. პორტფოლიოს მუდმივი სტრატეგიული გაერთიანებით და ოპტიმიზაციით, ბიზნეს გავლენის ანალიზით და ძლიერი ორგანიზაციული ძალისხმევით, ორგანიზაციებს ძალუძთ მიაღწიონ წარმატებულ გადასვლას პორტფოლიოს, პროგრამის და პროექტის დომეინებში, მიიღონ ბიზნესინვესტიციებ, ეფექტური მენეჯმენტი და შეძლოს ბიზნესღირებულების რეალიზაცია.

პროექტის მენეჯმენტის გეგმა უზრუნველყოფს ინფორმაციას პროექტის ბაზისზე, კომუნიკაციის მენეჯმენტზე და დაინტერესებულ მხარეთა მენეჯმენტზე. თითოეულ ამ სფეროთაგანს შეიძლება ესაჭიროებოდეს განახლება, რაც მიმდინარე შესრულების საბაზისო შესრულებასთან შედარებითაა გამოწვეული. შესრულების გაზომვის ბაზისი პროექტის სამუშაოს დამტკიცებული გეგმაა , რომლესაც ედარება პროექტის შესრულება და მართვის კონტროლისთვის იზომება გადახრები. იგი, როგორც წესი, მოიცავს პროექტის მასშტაბს, განრიგს და პარამეტრებს, მაგრამ ასევე შეიძლება მოიცავდეს ტექნიკურ და ხარისხის პარამეტრებს.

საწარმოში პროექტის მენეჯერის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ორგანიზაციული კომუნიკაციის სტილზე, განსაკუთრებით კი პროექტის მენეჯმენტის პროფესიის გლობალიზაციის ფონზე. ორგანიზაციული კომუნიკაციების საშუალებებს დიდი გავლენა აქვთ იმაზე, თუ როგორ სრულდება პროექტი. შედეგად კი პროექტის მენეჯერებს შორეულ ადგილებში საშუალება აქვთ ეფექტური კომუნიკაცია დაამყარონ ყველა დაინტერესებულ პირთან ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რათა ხელი შეუწყონ გადაწყვეტილების მიღებას.დაინტერესებულ მხარეეს და პროექტის ჯგუფის წევრებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები (ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ვიდეო და ვებკონფერენციები და ელექტრონული მედიის სხვა ფორმები) ,რათა დაამყარონ ფორმალური ან არაფორმალური კომუნიკაცია პროექტის მენეჯერთან.

მრავალი საწარმოო სტრუქტურა შეიცავს სტრატეგიულ, საშუალო მენეჯმენტს და ოპერატიულ დონეებს. პროექტის მენეჯერი შეიძლება ურთიერთქმედებდეს ყველა სამ დონესთან ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით როგორებიცაა:

• პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობა;

• დაინტერესებულ პირთა უნარი - გავლენა მოახდინონ პროექტზე;

• პროექტის მენეჯმენტის სიმწიფის ხარისხი;

• პროექტის მენეჯმენტის სისტემები;

• ორგანიზაციული კომუნიკაციები; ეს ურთიერკავშირი განსაზღვრავს პროექტის ისეთ მახასიათებლებს , როგორებიცაა:

• პროექტის მენეჯერის უფლებამოსილების დონე;

• რესურსთა ხელმისაწვდომობა და მენეჯმენტი;

• პროექტის ბიუჯეტის მაკონტროლირებელი პირი;

• პროექტის მენეჯერის როლი;

• პროექტის ჯგუფის შექმნა;

შაწარმოს პროცესის აქტივები არის გეგმები, პროცესები, პოლიტიკა, პროცედურები და ცოდნა, რომელიც ახასიათებს და გამოიყენება ორგანიზაციის მიერ. ეს აქტივები შეიძლება გამოყენებული იყოს პროექტის შესრულებისა თუ მართვისთვის. პროცესის აქტივები ასევე მოიცავს ორგანიზაციის ცოდნის ბაზას, როგორიცაა : გამოცდილებით მიღებული გაკვეთილები და ისტორიული ინფორმაცია. ორგანიზაციული პროცესის აქტივები შეიძლება მოიცავდეს დასრულებულ განრიგს, რისკის მონაცემებს და მიღებული ღირებულების მონაცემებს. ორგანიზაციული პროცესის აქტივები წარმოადგენს საშუალებებს დაგეგმარების პროცესებისათვის. პროექტის ჯგუფის წევრებს შეუძლიათ განაახლოს და დაამატოს ორგანიზაციული პროცესის აქტივები საჭიროებისამებრ. ორგანიზაციული პროცესის აქტივები შეიძლება დაჯგუფებული იყოს ორ კატეგორიად : 1) პროცესი და პროცედურები , 2) კორპორატიული ცოდნის ბაზა.

საწარმოს გარე ფაქტორები არის კონდიციები, რომლებიც არ შედის პროექტის ჯგუ-

ფის კონტროლის ფარგლებში და გავლენას ახდენს შეზღუდვებზე ან პროექტის მართვაზე. საწარმოს გარე ფაქტორები გასათვალისწინებელი საშუალებებია დაგეგმარების პროცესებისათვის, მათ შეუძლიათ გააძლიერონ ან შეზღუდონ პროექტის მართვის პარამეტრები და შეიძლება ჰქონდეთ პოზიტიური ან ნეგატიური გავლენა შედეგზე.

საწარმოს გარე ფაქტორები ფართოდ განსხვავდება თავიანთი ტიპისა და ბუნების მიხედვით. ისინი მოიცავენ , მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

• ორგანიზაციული კულტურა ,სტრუქტურა და მმართველობა;

• საშუალებების და რესურსების გეოგრაფიული გადანაწილება;

• მთავრობის ან ინდუსტრიის სტანდარტები 3

• ინფრასტრუქტურა

• ადამიანთა რესურსი

• კომპანიის მუშაობის ავტორიზაციის სისტემები;

• საბაზრო პირობები;

• დაინტერესებულ პირთა რისკის ტოლერანტობა;

• პოლიტიკური კლიმატი;

• ორგანიზაციის მიერ დამყარებული კომუნიკაციური არხები;

• კომერციულ მონაცემთა ბაზა (მაგალითად ,სტანდარტული ხარჯის შეფასების მონაცემები , ინდუსტრიის რისკის შესწავლის ინფორმაცია , რისკის მონაცემთა ბაზა);

• პროექტის მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემა

პროექტის მენეჯერის მოვალეობების მნიშვნელოვანი ნაწილი გულისხმობს დაინტერესებულ პირთა მოლოდინის მართვას, რაც შეიძლება საკმაოდ რთული იყოს, რადგან დაინტერესებულ მხარეებს ხშირად გააჩნიათ განსხვავებული ან სულაც კონფლიქტური მიზნები. პროექტის მენეჯერის მოვალეობებში შედის ამ ინტერესთა დაბალანსება და დარწმუნება იმაში, რომ პროექტის ჯგუფი ურთიერთქმედებს დაინტერესებულ მხარეებთან პროფესიული და თანამშრომლური გზით. პროექტის მენეჯერი შეიძლება გულისხმობდეს პროექტის სპონსორს ან ჯგუფის სხვა წევრებს სხვადასხვა ადგილმდებარეობიდან, რათა შეძლოს იმ დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია და მართვა, რომლებიც შეიძლება გაფანტული იყოს მსოფლიოს მასშტაბით.


## რეზიუმე

პროექტის მენეჯერის მოვალეობები გულისხმობს დაინტერესებულ პირთა მოლოდინის მართვას. ეს საკმაოდ რთული პროცესია, რადგან დაინტერესებულ მხარეებს ხშირად გააჩნიათ განსხვავებული ან სულაც კონფლიქტური მიზნები. პროექტის მენეჯერის მოვალეობებში შედის ამ ინტერესთა დაბალანსება და დარწმუნება იმაში, რომ პროექტის ჯგუფი ურთიერთქმედებს დაინტერესებულ მხარეებთან პროფესიული და თანამშრომლური გზით.

საწარმოს სტრატეგია შეიძლება გამოიხატოს ორგანიზაციის მისიით და ხედვით და მოიცავს ბაზრის ორიენტაციას, შეჯიბრებას და სხვა გარემო ფაქტორებს. ეფექტური ორგანიზაციული სტრატეგია იძლევა განსაზღვრულ მიმართულებებს ზრდისა და განვითარებისათვის, გარდა ამისა ხელს უწყობს წარმატების მიღწევას.



## SUMMARY

Project manager  duties includes stakeholders expectations management. Its quite difficult process, its  because  stakeholders have difficult interests and  sometimes conflict objectives. Project manager duty includes balancing and reassure their interests , also convinced that team interacts with professional and co-operative manner.

An enterprise strategy may be expressed in organization’s mission and vision and includes market orientation, competition and other factors. Effective strategy gives the direction of growth and development, and also contributes to the success.

# ახალი გამოცემა - პროფესორ ნოდარ გრძელიშვილის სახელმძღვანელოს „რელიგიური ტურიზმი”რეცენზია

მისასალმებელია, რომ ქართულენოვან სამეცნიერო მიმოქცევაში გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი საინტერესო სახელმძღვანელო - პროფესორ **ნოდარ გრძელიშვილის** ნაშრომი **„რელიგიური ტურიზმი“.**




საზოგადოდ, წმინდა ადგილების მონახულება ძველთაგანვე წარმოადგენდა ღირსეულ საქმესა და ტრადიციას ქართველი ხალხისათვის, რაც, თავის მხრივ, ორგანულად უკავშირდებოდა მართლმადიდებლურ სწავლებას. თუმცა, საბჭოთა პერიოდში ასეთი ადგილების მონახულება არა საკრალური, არამედ მხოლოდ ისტორიული და შემეცნებითი დატვირთვის მატარებელი იყო. ამასთან, რელიგიური და საკულტო დაწესებულებების დიდ ნაწილსპროფილი შეუცვალეს, აქციეს რა მუზეუმებად, ბიბლიოთეკებად, საკონცერტო დარბაზებად, საჯინიბოებად და აბანოებად.

მისასალმებელია, რომ თანამედროვე პირობებში საკულტო ობიექტების შინაარსმა და დატვირთვამ დაიბრუნა პირველადი მნიშვნელობა. შესაბამისად, რელიგიური ფასეულობები, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძვირფასი ნაწილი ტურიზმის ობიექტებადაც გვევლინება.

რელიგიური ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო და შიგა ტურიზმის სისტემაში. ადამიანების სულ უფრო დიდი ნაწილი ცდილობს მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ცერემონიებში, დაუახლოვდეს უფალს.

წარმოდგენილ ნაშრომში ავტორი განიხილავს რელიგიური ტურიზმისა და მომლოცველობის თანამედროვე მდგომარეობას და პერსპექტივებს. საზოგადოდ, რელიგიური მოგზაურობები არა მარტო მსოფლიო რელიგიებისათვის დამახასიათებელი სოციოკულტურული ფენომენია, არამედ თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციოკულტურულ ფაქტორადაც გვევლინება.

სახელმძღვანელოში, რომელიც 14 თავისაგან შედგება, რელიგიური ტურიზმის უმნიშვნელოვანესი საკითხებია განხილული. აღნიშვნის ღირსია მკითხველისათვის ისეთი საკითხების ახლებურად გაშუქება, როგორიცაა რელიგიურიტურიზმისგავლენარეგიონების განვითარებაზე და რელიგიური ტურიზმის უნიკალური შესაძლებლობების დასაბუთება საქართველოში.

სახელმძღვანელო თანამედროვე ენაზეა გადმოცემული და სასიამოვნოდ იკითხება. იგი ისეთი ღირსებების მატარებელია, რომ დიდ დახმარებას გაუწევს რელიგიით, ტურიზმით, მომლოცველობით და სხვა მსგავსი სფეროებით დაინტერესებულ მკითხველს.


**ნიკოლოზ ჩიხლაძე**

**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი,**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,**
**საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი,**
**ღვთისმეტყველების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი**

# გამოსათხოვარი



საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება რომ 89 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და სამეურნეო მუშაკი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკადემიის სწავლული მდივანი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, უმწიკვლო პიროვნება და ერთგული მეგობარი, დიდი მოყვასი და ერის მოამაგე, აკადემიკოსი

## თამაზ დანელია

იგი დაიბადა ქ. თბილისში 1929 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე. მისი შრომითი საქმიანობა როგორც ახალგაზრდა სპეციალისტისა დაიწყო აგარის შაქრის ქარხანაში ეკონომისტად. შემდგომ იგი გადმოდის თბილისში და ათეული წლების განმავლობაში ეწევა აქტიურ მუშაობას კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, სხვადასხვა დროს იყო საკონსერვო ქარხნის დირექტორი, სამინისტროს განყოფილების უფროსი, სხვადასხვა სამსახურების უფროსი, სამინისტროს არტბიუროს მდივანი. თ. დანელია სამსახურიდან მოუწყვეტლივ ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას, მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. შემდგომ გახდა დოცენტი, პროფესორი, აკადემიკოსი, იგი კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1990 წლიდან იყო საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის თბილისის ფაკულტეტის დეკანი, სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, მას ხშირად იწვევდნენ ოპონენტად სადისერტაციო საბჭოებზე, იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა პროფესორ მასწავლებლებში და სტუდენტებში, იყო 68 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის 7 სახელმძღვანელოსი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი საქმიანობა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიაში დღიდან აკადემიის დაფუძნებისა მან აკადემიის წევრ-კორესპონდენტობიდან დაიწყო და აკადემიის სწავლული მდივნის პოზიციაზე დაასრულა მისი საქმიანობა და დატოვა დიდი სითბო და დიდი ტკივილი.

თ. დანელია დაჯილდოვებული იყო სამთავრობო ჯილდოებითა და მედლებით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული და დიდხანს უცოცხლოს მომგონებელნი.

**უდიდესი გულისტკივილით**
**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია**

## საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გული-თადად ულოცავს საიუბილეო თარიღებს აკადემიკოსებს


მერაბ ნიკოლეიშვილს


ლარისა დოლიკაშვილს


მერაბ ზედგენიძეს


ვლადიმერ გვარჯალაძეს


ტიტე ლეფსაიას


დალი სეხნიაშვილს


რუსუდან ქინქლაძეს


ირაკლი ნაცვლაძეს


ნარგიზ გვალიას


ნოდარ ჩიბალაშვილს


ლუარა გვაჯაიას


გურამ ჯოლიას


მედეა ჭელიძეს


გივი კახიშვილს


ნანა გუნიას


თინათინ კაიშაურს


ელისო პაჭკორიას


რევაზ შენგელიას


ისიდორე ჯანელიძეს

**გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შემოქმედებით წარ-მატებებს თქვენს ოჯახებთან ერთად.**